პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 16 (1351)

15-21 მაისი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭოს სხდომა

პარასკევს, 14 მაისს შედგა სახალხო ფრონტის ახლადარჩეული მმართველი საბჭოს სხდომა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ_ნმა გოჩა გავაშელმა. დღის წესრიგში იყო საკითხები სსფ შიდა სტრუქტურების რეორგანიზაციის შესახებ. კამათში მონაწილეობდნენ მმართველი საბჭოს წევრები: დავით არევაძე, ნოდარ ლომინაძე, როინ ჭეიშვილი, ზაზა ჩიქოვანი, გელა კევლიშვილი, გოგი თამლიანი; სსფ დარბაზის წევრები: აბესალომ ტუღუში, ნუგზარ ხიდეშელი, ტარიელ დუდაური, თამაზ შილაკაძე. მმართველმა საბჭომ მიიღო მიმართვა ქვემოო ქართლის მოსახლეობისადმი, რომლის ტექსტს ქვემოთ გთავაზობთ.

მიმართვა
ქვემო ქართლის მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქართველმა ერმა დიდი მსხვერპლი გაიღო. ქვემო ქართლის მოსახლეობა ყოველთვის გვერდში ედგა დედა საქართველოს ამ წმინდათა წმინდა ბრძოლაში.

დღეს, როცა შიღწეულ მონაპოვართა შენარჩუნების ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპი დაგვიდგა, როცა გადამთიელნი და სეპარატისტები საქართველოს წინააღმდეგ ერთ მუშტად გაერთიანებულნი იბრძვიან, განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ქართველთა შორის თანხმობასა და ურთიერთთანადგომას.

უკანასკნელ დღეებში ქვემო ქართლში მომხდარი სამწუხარო მოვლენები მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ვინც ძმათა შორის შუღლს თესავს და სამწუხარო გაუგებრობის მასშტაბების გაფართოებას უწყობს ხელს, რა პიროვნული მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს განპირობებული, ნებსით თუ უნებლიეთ ემსახურება მტრის საქმეს.

საქართველოს სახალხო ფრონტი მოგიწოდებთ, ჩვენი ქვეყნისათვის ამ მძიმე ჟამს არ დაიშუროთ ძალისხმევა აბობოქრებულ ვნებათა ჩასაცხრობად. რათა გადაიზარდოს პიროვნული შურისძიება ადამიანთა დიდი ჯგუფების დაპირისპირებაში.

ყოველი სამართლიანი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ავამოქმედოთ კანონი და არა იარაღი, რომელიც მხოლოდ საქართველოს მტრების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

ჩვენ გვწამს, ქვემო ქართლის მოსახლეობა, ყველა ერთად, გლეხი იქნება, მუშა თუ ინტელიგენტი, ძალისხმევას არ დაიშურებს მამულის კეთილდღეობისთვის, არ წამოეგება პროვოკაციებს, რომელსაც მტერი გეგმავს თითქმის ყველა კუთხეში, მათ შორის ქვემო ქართლში.

საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭო

ფიროსმანი მილიონად?

სარწმუნო წყაროებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს ერთერთ იაპონურ ფირმასთან ნიკო ფიროსმანის ტილოების იაპონიაში საგამოფენოდ გატანასთან დაკავშირებით. ვინ არ იცის, რომ ქართული კულტურის პოპულარიზაცია, მისი საზღვარგარეთ გატანა საშური საქმეა, მაგრამ ერთი ფრიად დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი რამეც გავიგე და ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, ამის შესახებ საზოგადოებასაც გავაგებინო.

საქმე იმაშია, რომ შეუმოწმებელი მონაცემებით, ფიროსმანის რამდენიმე ათეული ნამუშევრის იაპონიაში მოგზაურობა წელიწადს მაინც გასტანს, რაც რამდენჯერმე ნარესტავრაციები შედევრებისათვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

ესეც არ იყოს, ხელოვნების მუზეუმი, ამის სანაცვლოდ, როგორც ჩანს, მიიღებს საგალუტო შემოსავალს, რომლის სიდიდე შეიძლება მხოლოდ საქმეში (მათ შორის არტბიზნესის საქმეში) ცუდად ნახედულს ან სულაც ნაუხედავს თუ ხიბლავდეს. მაგრამ საგანგაშოა არა მხოლოდ ზემოთთქმული, არამედ სულ სხვა რამეც. კერძოდ, ის, რომ რამდენიმე ათეული შედევრი, ჩვენი უდიდესი მხატვრისა იზღვევა სულ რაღაც ერთ მილიონ დოლარად, მაშინ, როდესაც მისი ერთი ტილოც კი რამდენიმე მილიონი დოლარი შეიძლება ღირდეს. ერთ მილიონად დაზღვევა ამ ეროვნული განძისა კი, რამდენადაც მესმის, ნიშნავს იმას, რომ სულაც რომ დაიკარგოს ყველა ნამუშევარი, მუზეუმის პარტნიორი ფირმა ვალდებული იქნება გადაიხადოს მხოლოდ 1000 000 დოლარი, ესაა და ეს. ჩვენ, ქართველები კი პირში ნალაგამოვლებულები შეიძლება დავრჩეთ. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი რამისაგან, მაგრამ როცა საქმე ეროვნულ განძს ეხება, ყველა ალბათობა უნდა გვქონდეს გათვალისწინებული.

აბესალომ ტუღუში

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ბრწყინვალე პედაგოგი და მამულიშვილი პროფესორი

ბესარიონ ჯორბენაძე.

ქართულმა ფილოლოგიურმა სკოლამ ბატონი ბესარიონის სახით დაკარგა დიდი მეცნიერი.

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს, ენათმეცნიერების ინსტიტუტს, თბილისის უნივერსიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფაშისტური ამერიკა ვერ გადმოვა ჩვენს საზღვრებზე!...“

Ცუდი ამბავი გვაუწყა გაზეთმა „იბერია-სპექტრმა“ —

მალე მსოფლიოში დამყარდება ფაშისტური სისტემა. და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ამ გლახა საქმეს იზამს ამერიკის შეერთებული შტატები (დიახ, დიახ, სწორედ ის აშშ, რატომღაც მთელ მსოფლიოში დემოკრატიისათვის მებრძოლად რომაა ცნობილი). თუმცა, სჯობია, საქმეს თანმიმდევრობით მივყვეთ. „იბერია-სპექტრის“ 27 აპრილი — 3 მაისის ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ გ. ნანუაშვილის წერილი „მსოფლიო ახალი წესრიგი“ და ა.შ.შ.“

ამ წერილშია ნაჩვენები ამერიკის ნამდვილი, ფაშიზმისკენ პირმიქცეული სახე.

ნამდვილად მძიმე სურათია, მაგრამ რას იზამ, კაცმა პატიოსნად, ობიექტურად დაგვიხატა საძაგელი აშშ-ს საძაგელი საქმენი...

* * *

ახლა კი სერიოზულად.

ზემოაღწერილ სურათ-წინასწარმეტყველებაზე ალბათ არც ეღირებოდა ყურადღების გამახვილება, ეს რომ ერთეული შემთხვევა იყოს. ბოლო ორი წელია, მთელ რიგ გაზეთებში „კარგ ტონად“ იქცა. მსგავსი ხასიათის მასალების ბეჭდვა.

არიქა, მასონები გვიტევენ, არიქა, მსოფლიო ინტეგრაციაში უნდათ ჩვენი ჩათრევა, სახელმწიფოებრიობა უნდათ დაგვაკარგვინონო... — ერთი ამბავია ატეხილი.

ვერ მოაწონათ თავი ჯორჯ ბუშმაც. ამიტომაც იღებდა და იღებს დღესაც მაგარ-მაგარ ეპითეტებს. თუმცა ერთი ბუში რა მოსატანია, როცა მთელ ამერიკას სთხრიან!...

თითქოს რეალური, მართლა „პრობლემური პრობლემების“ დეფიციტი იყოს საქართველოში და საქართველოსათვის, ხელოვნური, ყურით მოთრეული მასონების „პრობლემითა“ და ევროპის „საერთო სახლით“ (თითქოს კალთას გვახევდნენ, შემოდით, თქვენი ჭირიმეო!...) უხეთქავენ გულს ისედაც გულგასენილ მოქალაქეებს...

კაი, ბატონო, მასონები და ევროპის „საერთო სახლი“ ჯანდაბას, მაგრამ ამერიკას მაინც ნუ გადავუწურავთ საბოლოოდ წყალს, მთლად ფაშიზმთან წილნაყარად ნუ გამოვაცხადებთ, პატარა სიკეთე დავუტოვოთ.

ხალხი გეხმარებოდეს, წამალ—მედიკამენტებს, ბავშვის საკვებს, პურს გიგზავნიდეს (გახსოვთ, რამდენჯერ მოგვისწრო მართლაც სულზე ამერიკიდან გამოგზავნილმა ხორბალმა?!) და შენ ფაშისტებს ეძახდე, ჰიტლერს ადარებდე — არაა ლამაზი.

სხვა თუ არაფერი!...

ფელიქს კოტეშვილი

ლეშიც თუ მონახავ დასაყრდენს, კიდევ უკეთესი. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენშიც უპოვნიათ საყრდენი:

„საქართველოს სინამდვილეში ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია შეიძლება განვიხილოთ მსოფლიოზე ბატონობის მსურველი ამერიკელების დასაყრდენ ძალად (აი, თურმე რატომ აუჩემებია ირაკლი წერეთელს ნატოში შესვლა! — ფ.კ.): მათი ახალი „პატრონის“ ძებნა კი სხვა თუ არა „მსოფლიო ახალ წესრიგში“ საქართველოს ჩათრევაა, სადაც ჩვენ გველოდება მესამეხარისხოვანი „გეტო“. აქედან გამომდინარე აუცილებელია აღნიშნული ძალების საქმიანობის მხილება“.

* * *

მკითხველთა წერილები

გაზეთ «საქართველოს» რედაქციას, ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს

ღრმად პატივცემულო რედაქტორო! დიდი ხანია მას შემდეგ, რაც პირადად მე და ახლანდელ სხვებმაც დიდი ინტერესით წაიკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ 1992 წლის №43-ში გამოქვეყნებული ვახტანგ რაზმაძისა და თქვენი სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ის შესანიშნავი ადგილები, რომლებიც ჩემთვის საინტერესო იყო და ერთხელ კიდევ გადავიკითხე. სახელდობრ თქვენს კითხვაზე ვ. რაზმაძის პასუხმა ძალიან დამაინტერესა...„— არძინბა საქართველოს და აფხაზეთის მოქალაქე არც ყოფილა და არც იქნება, არძინბა არის კაცი, რომელმაც თავისი ბინძური სული მიყიდა რუსეთის იმპერიას, დღესაც ის ჩაწერილია ქ. მოსკოვში და ითვლება იქაურ მოქალაქედ. რაც შეეხება მის პიროვნებას, თავად კი თვლის, რომ აფხაზეთის განმათავისუფლებლადაა მოვლენილი, მაგრამ თვითონვე უწყის ყველაზე უკეთ, რომ თვით აფხაზი ხალხის ინტერესები 30 ვერცხლად მიჰყიდა რუსეთის იმპერიას. რა თქმა უნდა, ის მიცემული იქნება პასუხისგებაში, საქმეც აღძრულია, მიმდინარეობს გამოძიება იმ დანაშაულობების შესახებ, რაც ჩადენილია მის მიერ და რასაც საომარი მოქმედებები მოჰყვა, (მართლაც ყოველივე ამის შემდეგ ის არ უნდა იყოს ქვეყნად. გრ.ზ.) — ხომ არ დარჩება ეს შურაღ განცხადებად? — ვიდრე პირში სული მიდგას, არძინბა თავს შეიდად ვერ იგრძნობს, ადრე თუ გვიან (ალბათ ეს უფრო ადრე მოხდება, ვიდრე გვიან), ეს ქართველი და აფხაზი ხალხის მტერი გაითოკება.“ პატივცემულო რედაქტორო! აქ შესანიშნავად არის აღნიშნული ამ არაკაცის, არამზადა „ისტორიკოსის“ მართლაც „ისტორიული მოდვაწეობა“, როგორც ასეთი. კარგი და პატიოსანი, მაგრამ როგორც ვხედავთ ძალიან გვიანდება ამ გამხეცებული პირის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის „ვაიხელმძღვანელის“ არძინბას გათოკვა?! ნუთუ ამდენი პატიოსანი ადამიანის მომსპობი, თვითონ არ უნდა მოისპოს. რატომღაც ძალიან ჭიანურდება ამ ბოროტმოქმედის დასჯა, აი კითხვა, რომელიც მოითხოვს სათანადო პასუხს. ამდენი უდანაშაულო ადამიანის გამანადგურებელი,

არამზადა, აფხაზი და ქართველი ხალხის პირსისხლიანი მტერი უნდა დაისაჯოს სამართლიანი კანონიერების მთელი სისასტიკით. ნათქვამია: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. აუცილებელია შხიური აფხაზეთის დედაქალაქი — სოხუმის — ამ ბაღი ქალაქის გამანადგურებელი არძინბა სასტიკად უნდა დაისაჯოს. მან ერთმანეთს შეაჯახა ორი ხალხი — აფხაზები და ქართველები, რომელთაც საუკუნეების მანძილზე აკავშირებთ ერთი მიწა, ერთი ტრადიცია და სულისკვეთება. იმედია, არძინბა და მთელი მისი ხროვა ნამდვილად დაისჯებიან, როგორც ხალხის მტრები. სწორედ ეს არის არა მარტო ჩემი, არამედ ყველა კეთილი ნების ადამიანის, აფხაზი იქნება ის თუ ქართველი, სადღეისო ამოცანა. მათი სათანადო დასჯა უკვე რეალობად უნდა გადაიქცეს, როგორც ეს „საქართველოს“ გასული წლის №43-ში იყო ასახული. ვიმეორებ — „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“...

გრიგოლ ზაქარაია

ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

საინტერესო რჩევა-დარიგება

წარმატებისსაიდუმლოებანი

ჩვენი ქვეყანა ლეს საბაზრო ეკონომიკის გზას ადგას. საბაზრო ეკონომიკა კი, როგორც ცნობილია, პატივს სცემს მხოლოდ უნარიან და მოქნილ ადამიანებს. მაგრამ თვითონ ჩვენს გარდა ვინ გაგვხდის ასეთებად მაშასადამე, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ჩავწვდეთ საქმის ურთიერთობათა არც ისე იოლ მეცნიერებას. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უსარგებლო არ იქნება პოპულარული ინგლისელი ეჭსტრასენსისა და ტელეპატის ური გელერის რჩევა-დარიგებათა. წაკითხვა და გაცნობა.

პოზიტიური განწყობა

ფსიქოლოგიურად განაწყე საკუთარი თავი პოზიტიურ ყაიდაზე. საკუთარ თავს უნდა შთააგონო, რომ თქვენ ხართ გამარჯვებული. უთხარით საკუთარ თავს: „საკმარისია მოვინდომო და შემიძლია მთებიც შევძრა. მე საკმარისი ცოდნა და უნარი მაქვს. არაფერს შეუძლია შემაჩეროს. გადავწყვიტე მივაღწიო ჩემსას და მივაღწევ კიდეც აუცილებლად.“ დაამუშავეთ საბრძოლო მოქმედების გეგმა. მოიკრიბეთ ძალები. მაგრამ გახსოვდეთ — თქვენი გამარჯვება, თქვენი „სახელმწიფოებრივი“ გადატრიალება უნდა იყოს უსისხლო, საჭიროა არა უბრალოდ გამარჯვება, არამედ არ დაკარგო საყოველთაო სიყვარული, ნდობა და პოპულარობა.

გადაწყვეტილების მიღება

ნუ შეგეშინდება გადაწყვეტილების მიღების, სჯობს შეცდე, ვიდრე უმოქმედოდ იყო... ვიდრე მიიღებდე მას, გაითვალე ყველა შესაძლებელი ვარიანტი, მაგრამ არჩევანს რომ გააკეთებ, მტკიცედ იდექი შენსაზე.

დროის მფლანგველები

განსაზღვრეთ ადამიანთა წრე, რომელთაგანაც თქვენ გსურთ დაამყაროთ ურთიერთობა და გაატაროთ თავისუფალი დრო. დრო ძვირფასი და დაუბრუნებელი საკუთრებაა. ნუ გაფლანგავთ მას უსარგებლო ლაყბობასა და უაზრო საქციელზე, ნუ დახარჯავთ ნურც ბანალურ უმნიშვნელო რამეებზე. ვიდრე ხელს მოკიდებ რაიმე საქმეს, იფიქრე, რამდენად ეფექტიანია იგი. თუ არა — მოეშვი ყოველგვარი მერყეობის გარეშე.

სხვაზე გადავალება

ნუ შეგეშინდებათ წვრილმანი საზრუნავი გადააგალოთ იმ ადამიანებს, რომელსაც მისი გაკეთების თავი აქვთ. საკუთარ თავს მოეკიდეთ როგორც ადამიანს, რომელიც იღებს გლობალურ გადაწყვეტილებებს და დრო არა აქვს ხელი მოკიდოს ყველა უბრალო საქმის კეთებას, რასაც წარმატებით გაართმევს თავს, ის, ვინც ნაკლებად არის დატვირთული სერიოზული სამუშაოებით.

ნუ დაუშვებთ შეპასუხებას

ნურასდროს ნუ შეურიგდებით უარის თქმას. თუ არ გამოგივათ მიზნის მიღწევა ერთი გზით, ეძიეთ სხვა. თუ არ გსურთ ილაპარაკონ თქვენთან ტელეფონით შეეცდეთ გაიგოთ, რატომ და მოითხოვეთ პირადი შეხვედრა. თუ თქვენ მოგიწევთ შეეყაროთ უარს პატარა მოსამსახურის მხრივ, მიმართეთ მის უფროსს. ნუ შეგეშინდებათ მიმართოთ ყველაზე მაღალ დონეზე.

ურთიერთობა

ერთერთი ყველაზე ძვირფასი თვისებაა ყოველ ბიზნესში. ისწავლეთ თქვენი კოლეგების, პარტნიორებისა და მეგობრების ღირსეული შეფასება, რათა მათ შეეძლოთ შეგაფასონ თქვენ როგორც საჭიროა ისე. გქონდეთ ადამიანთა მოსმენისა და თქვენი აზრის მისაწვდომად გადმოცემის უნარი. დაეუფლეთ მიმიკისა და ჟესტის ოსტატობას.

სტრატეგიის შეცვლა

უნარი უნდა შეგწევდეთ მოერგოთ გარემოებას. იყავით მოქნილი, მაგრამ ოპონენტს ნუ მისცემთ საშუალებას დარწმუნდნენ იმაში, რომ თქვენ მზად ხართ უღალატოთ თქვენი კურსის პრინციპულ პოზიციებს. თუ დადგა დრო მტკიცედ განაცხადოთ თქვენს განზრახვაზე, გააკეთეთ ეს ეჭვებისა და მერყეობის გარეშე.

დროის შერჩევა

დაუცხრომლად სრულყავით თავი იმაში, რომ ზუსტად შეარჩიოთ დრო გადმწყვეტი მოქმედებისათვის, ნურაფერს ნუ გააკეთებთ ნაჩქარევად ან აღელვებით. იქონიეთ მოთმინება და ისწავლეთ ელოდოთ სათანადო მომენტამდე... თუ თქვენ გრძნობთ, რომ უკეთესია გადადოთ საქმე უკეთესი დროის დადგომამდე, — მოიქეცით ისე, როგორც თქვენ გკარნახობთ ინტუიცია. თხოვნით უნდა მიმართოთ მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ვერ გეტყვიან უარს.

უნდა იყოთ შესამჩნევი

ისწავლეთ გამოირჩეოდეთ თქვენს ირგვლივ მყოფ ადამიანთა მასისაგან. ამისათვის არსებობს ბევრი ხერხი — უზადოდ ჩაიცვით, გამოიმუშავეთ ურთიერთობის თქვენეული ინდივიდუალური მანერა, უნდა შეგეძლოთ თავი წარმოაჩინოთ მომგებიანად. თქვენ უნდა გაგცევდნენ ყურადღებას, თავი დაიჭირეთ გაბედულად და დამოუკიდებლად. დაე, თქვენში დაინახონ ლიდერი და არა ვიღაცა.

უნარი მართო და უხელმძღვანელო ადამიანებს

ეცადეთ განაწყოთ თქვენდამი ადამიანები. თუ თქვენ გყავთ ხელქვეითები, საშუალება მიეცით, მათ გაიგონ და იგრძნონ, რომ თქვენ გჭირდებათ რჩევა-დარიგება და დაინტერესებული ხართ მათი წარმატებული მუშაობით. მიეცით მათ რეალური სტიმული ი. ისინი უნდა გრძნობდნენ თავიანთ წვლილს საქმეში, თქვენს ზრუნვასა და თანაგრძნობას. შეაგულიანეთ ისინი ახალ მიღწევებზე, მოხიბლეთ თქვენი იდეებით და პროექტებით.

მოგვაწოდა

დავით კაკაბაძემ

დიდოსტატის გაკვეთილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მწერლები დიდი მოაზროვნენიც არიან. დიდი მწერალი და მოაზროვნე იყო კონსტანტინე გამსახურდია. ეს კარგად ჩანს მის რომანებში, ნოველებში, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში აფორისტული ფორმით მოცემული ბრძნული, დიდაქტიკური-ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით — გამონათქვამებითაც. მკითხველს ვთავაზობთ ნაწილს ამგვარი გამონათქვამებიდან. კიდევ ერთხელ მოვისმინოთ პატრიოტიზმის, ზნეობის, კეთილშობილების გაკვეთილები.

სამშობლოს სიყვარული მტკნარი ფიქციაა, თუ მისი თავკიდური არ იქნება საქმე.

* * *

ძველ ქართულ პატრიოტიზმს წარჩინებული წინაპრების მანდატით მოჰქონდა თავი. ჩვენ უარვყოფთ იმ პატრიოტიზმს, რომელიც მხოლოდ წარსულს დაემყარება. ჩვენ უარვყოფთ იმ პატრიოტიზმს, რომელიც წინაპართა მავზოლეუმების ჩრდილს შეაფარებს თავს. მკვდრები, რაგინდ წარჩინებულებიც იყვნენ, ცოცხლების მაგივრად ვერ ილაპარაკებენ. მკვდრები, რაგინდ ძლიერნიც იყვნენ თავიანთი ანდერძებით, ცოცხლების საქმეს ვერ გააკეთებენ. დაღუპულია ის ხალხი, რომელიც მხოლოდ საფლავებიდან მოელის სასწაულებს. უღირსია ის თაობა, რომელსაც არწივის პერსპექტივებით ვერ დაუსვერავს სამერმისო პოზიციები და უკანმობმული თვალებით დადის ამქვეყნად.

* * *

ვინც დიდი და უანგარო მამულიშვილი არაა, მას ერი არასდროს არ იწამებს.

* * *

სადაც დიდი, უანგარო პატრიოტიზმი და კეთილშობილი გრძნობა არაა, ყოველივე ტალანტი უქმია.

* * *

ვისაც თავისი სამშობლო მართლაც უყვარს, იგი მის სამსახურში ყოველივე უხერხულობას უნდა შეურიგდეს წინასწარ.

* * *

კაცს უნდა აცალო საქმის მოთავება და მერე უნდა გამოიტანო მსჯავრი.

* * *

ერი, [illegible] ყვარეობა არა აქვს...მუდამ სხვისი მეწველი ფური იქნება და ჩამორჩენილი — იმ დიად მიზანს, რომლისკენაც მთელი კაცობრიობა და ყოველი ერი ცალ-ცალკე მიისწრაფვის.

* * *

არაფერი ნაციონალური საყურადღებო არაა, რასაც უნივერსალური მნიშვნელობა არ მიერწყვება.

* * *

ის ერი, რომელსაც უფრო მაღალი პანთეონები აქვს, ვიდრე აწმყო, სამარცხვინო ეპითეტს თავიდან ვერ აიცილებს.

* * *

არავის არც ერთი არამზადა ამქვეყნად წმინდანად არ აღუნუსხავს და არცერთი ავანტურისტი არ ყოფილა ერის ნაციონალური გმირი.

* * *

საქმე ის არის, კაცმა ის მოიპოვო, რაც წინაპრებს ვერ მოუპოვებიათ.

* * *

შრომა უდიდესი ფაქტორია, არა მარტო მატერიალური დოვლათის მომხვეჭელი, არამედ ერთგვარი „კათარზისი“ — განწმენდა ადამიანის ზნეობისა. ისინი, ვინც შრომას განიცდიან როგორც სიმძიმეს, ვერასოდეს მისწვდებიან ცხოვრების ამ დიდ საიდუმლოს.

* * *

ყოველივე მეცნიერება, ყოველგვარი მწერლობა უსაზმნოა, თუ ეს ყოველივე კეთილშობილი ზრახვებით არაა გასხივოსნებული. ხალხი მიუმცდარი მისანია თავის მოღვაწეთა შეფასებაში და ნურავის ეგონება, მე დიდი [illegible] ბედენაა.

* * *

ადამიანის უმთავრესი ბედნიერებაა საკუთარი პროფესიით გატაცება და მისთვის თავგანწირვა.

* * *

ტალანტი თავისთავად არაფერს იძლევა, თუ იგი დიდ შრომისმოყვარეობასთან არ იქნა შეუღლებული.

* * *

შრომაა საძირკველი ყოველივე წესიერებისა და მორალური სისპეტაკისა.

* * *

გუთანი, ადლი და ჩაქუჩი ისეთივე გმირული იარაღია ბუნებით გმირის ხელში,როგორც კალამი და მახვილი.

* * *

ჭკვიანი მეფე მტრის მსტოვარსაც გამოიყენებს.

* * *

ყოველ დღე ხესაც რომ შებდავლოს, გახმი, გახმიო ჯოგმა, უთუოდ ხეც გახმებაო ნედლი. კაცს თუ მუდამ მოღალატე უძახე, იგი მართლაც მოღალატე გახდება.

* * *

სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას საკუთარში მაჟალოს დათესვა სჯობია.

* * *

რკო თუნდ ყვავმაც მოიტანოს, ოღონდ მშობლიურ მიწაზე გაუვარდეს.

* * *

ყველას მიერ ყოველგვარ საქმეში ჩარევა ზიანის მომტანია მხოლოდ.

* * *

სახელი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა, თავად მოგაკითხავს.

* * *

ვისაც თავისი სამშობლო მართლაც უყვარს, იგი მის სამსახურში ყოველივე უხერხულობას უნდა შეურიგდეს წინასწარ...

* * *

ენისადმი პატივისცემა, ერისადმი პატივისცემის ერთ-ერთი ატრიბუტია.

* * *

უბედურია ის ერი, რომელსაც გასაჭირის ჟამს ერთი კაციც არ აღმოაჩნდება სათაყვანებელი, რომლის სიტყვას მიენდობა და გაჰყვება.

* * *

ვინც ყველა ციხეს ერთბაშად მოუნდომებს აღებას, მას აღებულნიც დაეკარგება.

* * *

შემეცნების უპირატესი არსობა დაეჭვებაა.

* * *

ზოგ კაცს ენა რომ არ ჰქონდეს, აჯობებდა, როგორც მისთვის, ისე სხვისთვისაც, რადგან ზოგს ენა რო�აბია, თავათაა ენაზე მიბმული.

* * *

როგორც სიკეთეს, ისე სიავეს, ამქვეყნად ერთი ჰყავს ხოლმე მოთავე და იმ ერთის მხრებზე ადიან მერმე და მერმე სხვანიცა.

* * *

მართლმსაჯულება ორლესული მახვილია, თუ იგი ფრთხილად არ მოიქნიე, ერთი დამნაშავის ძებნაში შესაძლოა ორ უდანაშაულოს წააცალო თავი.

* * *

მგალობელს ხმას უსინჯავენ და არა ჭკუას.

* * *

ომი ყოველ კაცს არ შეუძლია და ინტრიგანობა კი ყველას ძალუძს.

* * *

ყოველი ერი თავის საუკეთესო შვილთა პირითა და ბაგით ეწევა თვითკრიტიკის მძიმე კურტანს.

* * *

მარად ფხიზელსაც მართებს, მტერს უდარდელად მოაჩვენოს თავი, უნდა ერიდოთ მტრის ამხედრებას ვადაზე ადრე.

* * *

ამ სოფლად მოსვლას რა ფასი აქვს, თუ იგი ისეთივე დასტოვე კაცმა, როგორიც შენამდე ყოფილა.

* * *

მიწა და ღმერთი ორივე სისხლს მოითხოვს ერის რჩეულისაგან. ამაშია ღრმა მისტერია ჩვენი აქყოფნისა.

ეკვი ეკეკვი ციოდა

ჯემალ კასრაძე

თბილისში, მალაზია „ელექტრონიკას“ წინ, რკინის მალალი გისოსების მიღმა, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გაშენებული ბაღს, რომელსაც თბილისელები „ბუკიას ბაღს ეძახიან, საინტერესო ისტორია აქვს. აქ მოწეულ-მოკრეფილი ხილი, თავის დროზე მოსკოვში, კრემლში იგზავნებოდა. ალბათ იშვიათია ისეთი საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი პიროვნება, რომელსაც ეს ბაღი არ დაუთვალიერებია.

ათეულ წლების განმავლობაში, საბურთალოს ამ ოაზისის ხელში ჩაგდება და მისი მერკანტილური მიზნებით გამოყენება ძალიან ბევრმა სცადა. (ბაღის გადარჩენაში გარკვეული წვლილი ლავრენტი ბერიასაც მიუძღვის) შემოტევები დღესაც გრძელდება...

* * *

რამდენიმე საფეხურიან კიბეზე მოჩოჩლმა გაუსხლელმა ვადის ბუჩქმა თავი დამახრევინა. მასპინძელი, ქალბატონი ლეილა ბუკია, შეუძლოდ იყო — დაბალ ხიცხესა და გულს უჩიოდა.

დიდი ხნის წინათ შელეხილმა კვდლებმა, ალაგ-ალაგ სხვადასხვა ფერში რომ გადადიოდა და შეშის ლუმელმა რატომღაც ბავშვობა გამახსენა.

. საწოლის თავზე ეკიდა დიდი, ფერადი სურათი „ნაპოლეონი ბოროდინოს ველზე“, ოდნავ მაღლა-მომცრო— „ნაპოლეონი კორსიკაზე“

ქალბატონმა ლეილამ ჩემი მზერა დაიჭირა.

— სტალინის სურათი მეგობრებმა ჩამომახსნევინეს. ორივე უდიდესი პიროვნება იყო. მათი გენია ბავშვობიდან მნუსხავდა და მიზიდავდა.— თუ ძალიან არ გეჩქარებათ სტალინის შესახებ გიამბობთ. მოულოდნელად მკითხა მასპინძელმა. საუბრის ასე მკვეთრად შემობრუნებას არ ველოდი. ჩემი ვიზიტის საბაბი ხომ სულ სხვა იყო, მაგრამ გადავწყვიტე ბედს ბოლოდ ბოდი. მითუმეტეს, რომ რესპოდენტი უაღრესად ნათელი გონებისა ბრწყინვალიანი მოსაუბრე გამოდგა.

— მამა სტალინს ახალგაზრდობიდან იცნობდა. ერთხელ სტალინი გობაზოულზე ზურგიოაც კი გადაიყვანა.თუმცა მაშინ სტალინი სად იყო. ყველა, და მათ შორის მამაც. კობას ეძახდა. 1904 წელს სტალინი და ბუდუ მდივანი ბუკნარში (ჩოხატაურის რაიონი), ბაბუას სახლში იმალებოდნენ. ამ პერიოდში მენშევიკები და ბოლშევიკები, „ხელფეხიან მუხასთან“ დებატებს მართავდნენ. არ ვიცი მუხას ასეთი უცნაური სახელი ვინ შეარქვა,ის კი გამიგონია მასზე დაშნაშავეებს ხუიდნენ.

ერთი ადამიანის თურმე კობა და ბუდუ ბაბუას ესტუმრნენ. მამამ სარდაფში ჩალა დაუგო და იქ დააწვინა. კობამ ლოგინზე უარი იმიტომ სთქვა — მეზობლები დაინახავენო. ძალიან ფრთხილი და ეჭვიანი ყოფილა. უფრო ადრე ჩვენი ოჯახის მეგობარ ექიმ ვიქტორ შარაშენიძესთან რომ იმალებოდა, ერთ ღამეში ორჯერ გამოუცვლია ადგილი.

ოცდაჩვიდმეტ-ოცდათვრამეტ წლებში ამდენი უდანაშაულო ხალხი რომ დაიხვრიტა,ერთხელ მამანემამ ვითომ ისუბრა-ზურგზე რომ მყავდა მოკიდებული, რატომ არ ჩამოვაგდე და გობაზოულში არ ჩავახრჩვეო.

მიუხედავად რეპრესიებისა, ოჯახში იმდროინდელი სულისკვეთებით ვიზრდებოდით და მამაჩემის გადახასლებაშაც კი არ შეგვიცვალა მრწამსი. მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ჩვენში ერთგული მოძრაობა გააქტიურდა, მივხედი და გული მეტკინა,რომ ასეთი უსამართლო, მცდარი გზით ვიარეთ.

ქალბატონი ლეილა ერთ ხანს გაირინდა. ის იყო გავიფიქრე, ჩემი არსებობა დავიწყდა მეთქი,რომ ოდნავ გამოცვლილი ხმით დაიწყო.

— ახლა კი თქვენი მოხვლის მიზეზზე ვისაუბროთ.

ჩვენი ბაღის ისტორია საკმაოდ ერცელია. ოცდაცამეტ წლამდე დიდუბეში ეკლესიის ახლოს, მტკვრის ნაპირზე ვცხოვრობდით. „არტახებში“ მოქცეული, მტკვრისგან გამოთავისუფლებული სამი ჰექტარი მიწის ფართობი გვეკავა. კარგად მახსოვს, მარტო ჩვენ ცხრა ძირი კაკლის ხე გვედგა. ამ დროს თბილისი, ცხადია, ამხელა არ იყო, გარეუბნებიდან იმდენი ხილი და ბოსტნეული შეჰქონდათ, ვერც კი ასაღებდნენ.

მამა, დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს მეთამბაქოთა კავშირის თავმჯდომარედ მუშაობდა. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს ისიდორე რამიშვილთან კონფლიქტი მოუვიდა. მიზეზი ის იყო, რომ გერმანიამ ქართული თამბაქოს შესყიდვაზე, უარი თქვა, ხოლო მამამ გადაწყვიტა ის თამბაქო რუსეთისათვის მიეყიდა, ისიდორე წინააღმდეგი წასულა — მამამ გლეხების მხარე დაიკავა და პროტესტის ნიშნად სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოვიდა. მოგვიანებით მამამ მაინც ნახა ვიღაც რუსი ვაჭარი და მარტო გურიაში მოწეული თამბაქო გაყიდა.

სხვათა შორის, აღებული ფული, რომ არ გაეძარცვათ,ახლობელ გლეხს სილოვან კალანდაძეს მიაბარა — ტანსაცმელია და მიმიხედეო. შემდეგ, როდესაც მამამ ამ ტომარას პირი მოხსნა და გლეხებს ფულს ურიგებდა, სილოვანს თავში ჩემს უფროს დასთან ორი გადაცმული ჩეკისტი მოვიდა — სხვა ადგილზე უნდა გადაგასახლოთო. შემოგვსხეს ურემზე, შემოგვიყეს ერთი ტახტი, ორად გაყოფილი ხილის ყუთი, რამდენიმე სკამი ქვეშაგები და ვერის ხიდის გავლით მიგვიყვანეს იქ, სადაც ახლა ტელერადიოდეპარტამენტია. აქ იყო ჯიშკარიანების სახლები. გვითხრეს, ამიერიდან აქ იცხოვრებთო.

ჩვენი ოჯახის მეგობარმა სილიბისტრო თავართქილაძემ (სხვათაშორის სილიბისტრო მწერალი იყო და რემონიძის ფსევდონიმით მოთხრობების წიგნიც აქვს გამოქვეყნებული. გარდა ამისა იგი საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა-წიგნების მაღაზია ჰქონდა მოსკოვის ქუჩაზე, სადაც ქართველი მწერლები იყრიდნენ თავს), ჩვენი გასაჭირი შეობლებს შეატყობინა. როგორც გამოირკვა ჩვენი სახლკარი დიდუბის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოსწონებოდა. განუკითხობა იყო, ავეჯს ვინ ჩივის ფოტოსურათები და წიგნებიც კი აღარ დაგვიბრუნეს. მამას იმ დროისათვის ბრწყინვალე ბიბლიოთეკა ჰქონდა. ყოველივე ამას ისიც დამატება რომ ჯიშკარიანი სახლში არ გვიშვებდა. ბოლოს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის ჩარევამ გვიშველა. თანასოფელელმა, ბოლშევიკმა გერმანე ჯიბლაძემ გვირჩია მოსკოვში გაასაჩივრეთო. მამამ — კოლმეურნეობას წინააღმდეგობას ვერ გაუწევ აზრი არა აქვსო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და სტალინს წერილი გაუგზავნა. სანამ პასუხი მოვიდოდა, მამა მაღალი ძაბვის ელექტროსადენების ბეტონის დგამზე იმალებოდა.

მოსკოვიდან მართლაც მოვიდა ბრძანება: ჩამორთმეული ნაკვეთები შეისყიდეთო, მაგრამ საამისოდ იმდენად მცირე თანხა გამოყვეს ჩვენ არაფერი გვერგო.

ჩვენი უსიამოვნება ამით არ დამთავრებულა. მოაკრობა ვერ შეულიბდა სათესლე მარცვალს, ოღონ ასი ფუთი სჭირდებოდათ. მიწათმოქმედების კომისარიატმა, რაკიღა ფრაფერი გააწყო, გადაწყვიტა მამას ავტორიტეტი ესარგებლა. დაავალა სათესლე მარცვალი გლეხებისგან შეეგროვა. ამ დროს მამა დიღმის აბრეშუმის საკვლევ ინსტიტუტშიმუშაობდა აგრონომად. მამამ ხუთასი გლეხისაგან ასის მაგვრად ეკვასი ფუთი მარცვალი შეისყიდა. პირობა ასეთი იყო ფული შემდეგ უნდა გადაეხადათ. განსაზღვრულ დღეს მამა კაბინეტში შევიდა თუ არა ქუჩორების ასაღებად, ბასკიდან რომ ფული გამოეტანა, ორმა გადაცმულმა ჩეკისტმა დააპატიმრა. მამა ეხვეწებოდა — ფულს გამოვიტან, მეკალეებს დაკურიგებ და მერე სადაც გინდათ იქ წამიყვანეთო. ერთი წუთითაც არ გაუვლია გულში, რომ სწორედ იმიტომ დააპატიმრეს გლეხებისთვის ის ფული არ გადასადა. სამ თვეში კი გაათავისუფლეს, მაგრამ ამ ამბებმა კინალამ ჩვენი ოჯახი შეიწირა. მოტყუებულმა გლეხებმა ჩვენს სახლს შემოარტყეს ალყა. გუშინდელი დღეავით მახსოვს ძირითადად ორთაჭალელი და დიდუბელი მებაღეები იყვნენ. ყველას თითქოს ერთნაირი აქრული ფორმა ეცვა. ქამარზე ტყავში ჩასმული რუსთაველის სურათი და პატარა ხანჯალი ეკიდათ. მათ შორის ფაფუხიანი თათრებიც იყვნენ.

დედაჩემმა მე და ჩემი დები აივანზე გამოგვიყვანა — ღმერთია მოწამე ჩემი ქმარი დაამატიმრეს. აგერ მე, ჩემი შვილები და ეხლა

მერიან ბუკია და ანა დოლიძე

ეჯარლას ცხენ-სამაბრის ტერიტორიაზე ასეთი ბოზრები ფოთეკანა
აბრონომმა მერიან ბუკიამ (მარცხნიდან მესამე)

— შენ! ყაზახო! იმიტომ ვერ გაყიდე ჩვენი თამბაქო, რომ თბილისში დროს ატარებდი. ბორშს შეექცეოდიო.

ბორში მაშინ დიდ რამედ ითვლებოდა. მამას ხიცილიი უთქია — ბორშს ბოლოს შენ სჭამ, მე ანტრეკოტს გეახლებოდიო.

გასაჭიროების შემდეგ კოლმეურნეობების ჩამოყალიბება რომ დაიწყეს მამა ყვარლის რაიონში გაგზავნეს აგრონომად. ერთხელ დედა მამასთან რომ იყო წასული მე და

მერიან ბუკია და ანა დოლიძე

დარგო. სახლში გვიყვებოდა — ხეს რომ ავედით კალმების მოსაჭრელად, ბრიგადირს ქრთამად ორი სამანეთიანი ჩამოვუგდეთ.

ჩვენი ბაღი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ისეთი უნაკლო ხილი მოდიოდა, რომ ჩეკისტები გვაკრეფინებდნენ, თხელ ქაღალდში გვახვევინებდნენ და მოსკოვში კრემლში აგზავნიდნენ. შეფუთვის დროს თავზე გვადგნენ, ეშინოდათ ყუთში საწამლავი, ან რაიმე ასაფეთქებელი არ ჩაგვეგდო. მარტო თხუთმეტი ჯიშის ატმის ხე გვერგო.

1940 წელს ჩვენს ბაღში მოკრეფილი ხილი საბჭოთა კავშირის სახალხო მიღწევათა გამოფენაზე წაიღეს როგორც კოლმეურნეობის მოწეული ნობათი.

ერთხელ მამის დაღუპვის შემდეგ, ცხონებულმა შალვა ნუცუბიძემ გვითხრა 1929 წელს ყოფილ მთავრობის სახლის ადგილზე ეკლესიაში სასოფლო სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე, სხვათა შორის, თქვენი, დიდუბის ბაღის გოგრაც იყო, მაგრამ ვიღაცამ წარწერა — „ბუკიას ბაღი“ დადატრიალა და ზედ „კახეთის სახელმწიფო კოლმეურნეობა“ წაკრიბა. მართალი გაბრაზდა და წარწერა [illegible] ნა. ის გოგრა მეც კარგად მახსოვს, 10 წლის გოგო ზედ წამოწოლილი კუტეოდი.

ომის დაწყებიდან მეორე წელს ძალიან გაჭირდა ცხოვრება. ჭროდუქტი ძირითადად ვერის ბაზარში შემოქონდათ. დამშეული კლიენტები გლეხებს ქალაქის შემოსასვლელში ხვდებოდნენ. ერთი დღეს მამამ ხელჩართულ ბრძოლაში რამდენიმე კილო ჯარტოფილი იყიდა და ახლანდელ ფილარმონიასთან ტრანსპორტს ელოდებოდა გაჩერებაზე ხიდისთაველი გურული მეგობარი ვალერიან ჟღენტი შეხვდა.

მათ შორის ასეთი დიალოგი გამართულა

— მირიან ჯარტოფილი სად იყიდე?

— აგერ ვერის ბაზარში დედაბერს გამოვაროვი,

— ეს ჩემი მირიან, ხედავ რა დღეში ჩავიგდეთ თავი ეხლა რომ ნიკოლოზა გაცოცხლდებოდეს თავისი ჯინჯილებიანი გენერლებით მივიდოდი და ვაკოცებდი.

მამაჩემს გასცინებია.

— ვალერიან შენ ვინ მიგიშვებდა, იმხელა რიგი დადგებოდა.

სულ მალე მამა დაიჭირეს ბრალდებად კოლმეურნეობის წინააღმდეგობა, სტალინის გინება და ნიკოლოზას სიყვარული წაუყენეს. ვიღაც არაკაცმა დასმინა. საწყალმა მამაჩემმა ვერცერთი წყობის დროს ვერ გაიხარა. იგივე ნიკოლოზამ, მაშინდელი მთავრობის

გაგრძელება მე-8 გვ.

ერის ხმაა „ხმა ერისა“?! ანუ „არა შეჯდა მწყერი ხესა“!

ვახტანგ კომახიძე

გაზეთ „საქართველოს“ №12-ში (24-30 აპრილი, 1993 წ.) სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისას“ მისამართით გამოვაქვეყნე მცირე რეპლიკა სათაურით „კიდევ კარგი...“, რასაც გაზეთ „არჩევნის“ №5-ში (7მაისი, 1993 წ.) მოჰყვა „ხმა ერისას“ დარბაზის თავმჯდომარის გელა სალუაშვილის ვრცელი, გაზეთის გვერდნახევრიანი საპასუხო სტატია, სადაც ბატონი გელა სიტყვასიტყვით, ადამ და ევადან იწყებს და პასუხობს თითქმის ყველაფერს, მათ შორის ჩემს მიერ დაუსველ კითხვებსაც, თუმცა აღრესტად მაინც მე ავურჩევივარ. მოკლედ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბატონი გელასთვის ჩემი რეპლიკა შთაგონების წყაროდ იქცა, დაჯდა წერად და კარგა ვრცელი ნაწარმოებიც გამოაცხო, რასაც შესაძლოა, ჩემი რეპლიკა არც იმსახურებდა.

მე მხოლოდ რამდენიმე მოსაზრებას გამოვთქვამ ამ პუბლიკაციის გამო.

ბატონი გელა სალუაშვილი წერს:

„ბატონ ვახტანგს მოკრძალებით გვინდა ბერძენი ფილოსოფოსის ჰერაკლიტე ეფესელის (ალბათ ეფესელის ძვ.წ. 520—460, ვ.კ.) თითქმის ოცდახუთი საუკუნის წინ გამოთქმული ორი ასეთი მოსაზრება:

„ზერელე ცოდნა შეცდომისა და შეღლის წყაროა.“

„ძაღლები მას უყეფენ, ვისაც არ იცნობენ.“

იქნებ არც დამეწერა ბატონ სალუაშვილის საპასუხოდ ეს წერილი და მის მიერ ჰერაკლიტე ეფესელის აქ მოტანილი უკანასკნელი ფრაზა — **„ძაღლები მას უყეფენ ვისაც არ იცნობენ“** — ძვირფასი ფაჩუჩით შემოსილ ტლინკად მიმეღო, რომელიც, როგორც ამბობენ, საწყენი არაა, მაგრამ, რადგან „სიბრძნე ისაა, რომ ჭეშმარიტებას არ ულალატო“, შევეცდები დავიცვა ჩემი „პატარა ჭეშმარიტება“, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ №12-ში დაიბეჭდა.

რაც შეეხება ზერელე ცოდნას, რომელიც ეფესელისავე ფრაზაშია, თუ ბატონი გელა საკუთარი თეორიებისა და მოსაზრებების უცოდინარობაში მდებს ბრალს, დავეთანხმები, არ გახლავართ მისი თეორიებით განსწავლული. „ხმა ერისას“ კი საგაზეთო პუბლიკაციებითა და წინა საარჩევნო კამპანიის პერიოდის სატელევიზიო გამოსვლებით ვიცნობ. არ დამვიწყებია ტელე-დებატებიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, არა მგონია, ამგვარმა ზერელე ცოდნამ შეღლი გამოიწვიოს. შეღლსა და მტრობას რაც იწვევს, ამაზე ქვემოთ, (შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული) და კიდევ ერთი ციტატა:

„ხმა ერისა“ თავის დასახელებაში ანივთებს ნებისმიერ სფეროში დარღვეული სამართლიანობის აღდგენას... რომელ საქმეშიც გზის გამოსაკვლევად და ორიენტირად ერის ხმა, ერის ის ძახილია, რომელიც ყოველთვის შეუმცდარი და ჭეშმარიტია. და კიდევ: ჩვენ გვინდა ვიყოთ ერის მიერ გამოხატული ნების ღამცველები და მისი (ერის) ნების (ერთ-ერთი) რეალური განმახორციელებლები“.

ბატონო გელა, უდაოდ მისასალმებელია, რომ ცდილობთ „ერის ნებით“ იხელმძღვანელოთ, მიენდოთ მას (ერის ხმას), ოღონდ იქნებ გაგვანდოთ ის საიდუმლო, თუ როგორ ახდენთ ამ „ნების“ ამოცნობას, რომ გამოიყენოთ იგი ორიენტირად იმ უამრავ საკითხთან მიმართებაში, რომლებზეც ალბათ თქვენ მუშაობთ. იქნებ გამანდოთ, რადგან ერი ჩემი აზრით ესაა, მართალია, ერთი ეთნიკური წარმოშობის, მაგრამ განსხვავებული და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობის, მენტალიტეტის, სოციალური მდგომარეობისა და ა.შ. ადამიანების თანაარსებობა. ესაა თანაარსებობა იმ ადმიანებისა, რომლებიც ემხრობიან ერთს და იმათიც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მათ. თუ ერის ნებაში უმრავლესობას გულისხმობთ, მაშინ აშკარად არ იზიარებთ „ერის ნებას“, რადგან უმრავლესობამ 11 ოქტომბერს წინა ხელისუფლების მომხრე პარტიების ბოიკოტისაკენ მოწოდებების მიუხედავად მხარი დაუჭირა კანონიერი პარლამენტის შექმნას. თუ „ერის ნებაში“ გულისხმობთ „უსამართლოდ დაჩაგრულ უმცირესობას“, მაშინ გავიწყდებათ ის „უმცირესობა“, რომლის დისკრიმინაციაც ხდებოდა წინა ხელისუფლების ჟამს.

ბატონო გელა, რისთვის გჭირდებათ ასეთი გამოთქმა — „ერის ხმა შეუმცდარია“? განა შემცდარი არ იყო „ერის ხმა“ გერმანიაში და იტალიაში „დიდება ბელადს!“ რომ გაჰყვიროდა? განა არ ცდებოდა ერის ხმა“ იაპონიაში, კუბაში?.. თუ, მარტო ქართველი „ერის ხმა“ იყო შეუმცდარი „ზვი-ა-დი“-ს ძახილით?

გერმანიაში პირველი არჩევნები რომ ჩატარდა, ქონებრივი ცენზი დაწესდა, რაც ბურჟუაზიული საზოგადოების უაზრო ახირებას კი არა, გონიერი ელექტორატის შექმნას ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, დღეს მსოფლიოში სხვა პოლიტიკური ნორმებია დამკვიდრებული, მაგრამ ჩვენი ~ამჟამინდელი პარლამენტის სუსტი შემადგენლობაც ისევ და ისევ ჩვენი ელეტრორატის „დამსახურებაა“. ძნელია თქმა იმისა, რომ ერი შეუმცდარია სამოცდაათწლიანი კომუნისტური რეჟიმის შემდეგ.

თქვენი განცხადება ერის შეუმცდარობის თაობაზე, პოლიტიკური პოპულიზმია. პოლიტიკური კავშირი თუ პარტია ამგვარ განცხადებებს სახელმწიფოსთვის, ერისთვის თავისი გონებისა და შესაძლებლობების მოხმარებას უნდა ამჯობინებდეს, რადგან „ხემან ჯერკუალმან ნაყოფი ჯერკუალი გამოიღის“

შემდეგ ბატონი სალუაშვილი წერს:

„განუკითხაობა თანდათან მძლავრად იკიდებდა ფეხს ყველა სფეროში. მავანს და მავანს, გრძნობდა რა, რომ მისი ყოველი ჩადენილი საქციელი, ძალით დამხობილი კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერებს დაბრალდებოდა, ეაღვილებოდა კანონის დარღვევა, რამეთუ იცოდა, რომ მფარველად, ფარად ასევე მაგალითადაც, ძალით მოსული, დროებითი ხელისუფლება ჰყავდა.“

რამდენადაც ვიცი, არავინ ცდილობს იმ ფაქტის უარყოფას, რომ ამ მხრივ ქვეყანაში დღესაც მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ განა იმ მძარცველებს, ვაგონებს რომ ასუფთავებენ სამეგრელოს რაიონებში, ან დივერსანტებს, ლამის ხიდი რომ აღარ დატოვეს აუფეთქებელი, დროებითი მთავრობა მფარველობდა? თუ, ის მძარცველები და დივერსანტები „ერის ნებას“ გამოხატავდნენ? ცოტა შუალედური მდგომარეობა უნდა მოძებნოთ ბატონო გელა, „შუაში უხიფათოდ ივლი“, ამბობს ოვიდიუსი. ისე კი, ვფიქრობ, არც თქვენ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ დანაშაულებანი „კანონიერი ხელისუფლების“ დროსაც ხდებოდა და რომ მათ გამსახურდია არ მფარველობდა.

კიდევ ერთი ციტატა:

„თუ ოდნავ ღრმად ჩავუკვირდებით, მშვიდობიანი მიტინგისა თუ დემონსტრაციისათვის ტყვიის სროლა მხოლოდ მშიშარა კაცს თუ ხელეწიფება... ხელეწიფებათ იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც ამ სროლით მხოლოდ თავის თავს თუ ამხნევებდნენ. არადა, ალბათ, მხდალობას ვერ დასწამებ უმრავლეს იმათგანს. ერთია, მხოლოდ იციან რა თავიანთი საქციელის უკანონობა, მოქმედებაც შესაბამისი აქვთ.“

კარგით, ბატონო გელა, ჩავუკვირდეთ, მაგრამ უფრო ღრმადაც რომ ჩავუკვირდეთ და 2 სექტემბერი, 4—5 ოქტომბერი ან ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის დარბეულ შტაბ-ბინასთან დასახიჩრებული ხალხი რომ გაგვახსენდეს, ხომ გამოვა, რომ მშიშარა კაცი ყოფილ ხელისუფლებაშიც ყოფილა. უფრო სწორად, თქვენეული სიტყვები რომ ვიხმაროთ, იყო კაცი, ვინც გრძნობდა თავისი მოქმედების უკანონობას და საქციელიც შესაბამისი ჰქონდა.

მოკლედ, ბატონო გელა, თქვენც შეადარეთ ერთმანეთს კანონიერი ხელისუფლება, რომელიც აცხადებს რომ დემოკრატიულია და ამავე დროს სასტიკად უსწორდება დემონსტრანტებს — იმ ხელისუფლებას, რომელიც უკანონოა, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, იძლევა გაფრთხილებას და ამის შემდეგ ასევე სასტიკად უსწორდება დემონსტრანტებს.

ჩემი აზრით, პირველი, მარტივად რომ ვთქვათ, ავანტურისტია, მეორე კი ძალას ეყრდნობა და როგორც უკვე გაირკვა, არა ძალაუფლების უზურპაციისთვის. პირველი ის ხელისუფლება გახლდათ, ვინც კანონიერება მიწასთან გაასწორა, მეორე კი ძალით მოსული ხელისუფლება, რომელიც კანონიერების აღდგენას ცდილობდა.

ბატონო გელა, არც ბოლოს ... ვართ კმაყოფილი ჩვენ ... ბედითა თუ უბედობით, ვფიქრობ, კიდევ ბევრი ჩვენთან ერთად, მაგრამ მთავარია როგორ გამოხატავ უკმაყოფილებას.

თქვენ აყალიბებთ აზრს, რომ არჩევნები უკანონო იყო, რომ არ მოხერხდა კომპრომისი, რომ უკანონო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტიც უკანონოა და ასე შემდეგ.

ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს და აქვს მისეული შეფასება პოლიტიკური მოვლენებისადმი, მაგრამ თავისი შთაბეჭდილებების „ერის ნებად“ გასაღების უფლება მას არა აქვს. 1990 წლის 28 ოქტომბერს ამომრჩეველმა (და არა საბჭოთა კონსტიტუციამ) კანონიერების ხმა მისცა გამსახურდიას ხელისუფლების მოსვლას, 1992 წლის 11 ოქტომბერს კი გააუქმა იგი. (მიუხედავად საარჩევნო კანონის იმ დარღვევებისა, რომელიც თქვენს გარდა ოფიციალურმა წრეებმაც აღნიშნეს.). ახლა კი ნება მომეცით ჩემს რეპლიკას დავუბრუნდე.

როგორც აღვნიშნე, ეს გახლდათ მცირე სტატია სათაურით „კიდევ კარგი“, სადაც ვთქვი, რომ „ხმა ერისა“ ფაქტობრივს უწოდებს დღევანდელ ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც იღებდა 11 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას და მას რომ პარლამენტში ხმების უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში საკუთარი თავისთვისაც უკანონო ეწოდებინა, რა თაში ქვა უნდა გვეხალა-მეთქი. მართალია, ბატონმა გელამ ვრცელი ნაწარმოები უიღვნა ჩემს რეპლიკას და ახსნა მიზეზი მათი არჩევნებში მონაწილეობისა, სამწუხაროდ, უნდა გავიმეორო: კიდევ კარგი, რომ „ხმა ერისა“ ისეთ ხელისუფლებას უწოდებს უკანონოს რომლის შემადგენლობაშიც თვითონ არ შედის.

ბატონო გელა, რაც შეეხება შეღლსა და მტრობას, ზემოთ რომ ვახსენეთ, გეთანხმებით, ზერელე ცოდნას შეიძლება შეღლი მოჰყვეს, მაგრამ მერწმუნეთ, უვიცობას არ შესწევს ძალა, ისე შეუწყოს ხელი მტრობის გაღვივებას, როგორც ეს ცოდნის ცუდ გამოყენებას შეუძლია.



უცოდინარობა თუ პოპულიზმი?

ვახტანგ ერქომაიშვილი

გაზეთმა „შანსმა“ (იხ. 13—20 აპრილი, 1993) გამოაქვეყნა ინტერვიუ მთავარ სახელმწიფო მრჩეველ, მწერალ და ჟურნალისტ ლ. ალფენიძესთან. მასში უხვადაა დამოწმებული გამოჩენილი ფილოსოფოსების მოსაზრება თუ გამონათქვამი. ჩვენ თავს ვიკავებთ იმის შეფასებისაგან თუ რამდენად მართებულად — კონტექსტის შესატყვისად ხდება მათი მოხმობა. ამჟამად გვაინტერესებს მხოლოდ ერთი დებულება, რომელიც ლ. ალფენიძეს გამოთქმული აქვს როგორც თავისი ცხოვრების ერთ-ერთი დევიზი: „პოლიტიკაში მორალი, თვით პოლიტიკაზე მეტად ფასობს“.

კორესპონდენტის კითხვაზე — „ეს უტოპია ხომ არ არის?“ — ლ. ალფენიძე პასუხობს: „ამერიკული ოცნებაც“ უტოპია იყო, მერე იქცა რეალობად. უტოპიას მუდამ აქვს სწრაფვა რეალობისაკენ. ეს კარგი. ცუდია, როცა რეალობა მიისწრაფვის უტოპიისკენ“.

მაშ, ასე: დებულება, რომ „პოლიტიკაში მორალი, თვით პოლიტიკაზე მეტად ფასობს“ უტოპიაა, მაგრამ ისეთი, რომელიც მომავალში იქცევა რეალობად. ბუნებრივად გვიჩნდება ეჭვი: უწერია თუ არა ამ უტოპიას ახდენა? რამდენად რეალური და განხორციელებადია იგი? ე.ი. საკითხი ეხება პოლიტიკისა და მორალის შერწყმას. შეიძლება თუ არა პოლიტიკა გახდეს ზნეობრივი? როგორც ჩანს ლ. ალფენიძე არ ეჭვობს, რომ დღემდე ამგვარ ვითარებას ადგილი არ ჰქონია. მაგრამ მას შესაძლებლად მიაჩნია მომავალში მისი განხორციელება, რადგან ამას მოითხოვს თვით პოლიტიკა. ეს უკანასკნელი თავისი არსით ზნეობრივი უნდა იყოს, რამეთუ მისთვის უფრო მეტად ფასეულია მორალურობა, ვიდრე ამორალურობა.

შეიძლება თუ არა აღნიშნული დებულების გაზიარება? პრინციპულად არ შეიძლება, რადგან პოლიტიკა და ზნეობა თავიანთი არსით ურთიერთგამომრიცხველი სფეროებია. ამის ნათელსაყოფად ერთმანეთს შევადაროთ ისინი.

1) პოლიტიკის სუბიექტი საბოლოო ანგარიშით სახელმწიფოა, ხოლო მორალის — პიროვნება. პოლიტიკა სახელმწიფოს, ხოლო მორალი პიროვნების ინტერესებს გამოხატავს და იცავს. თუ წარმოიშვება კონფლიქტი მათ შორის, მაშინ პოლიტიკა პირველს, ხოლო მორალი მეორეს ანიჭებს უპირატესობას.

2) პოლიტიკა ძალას ემყარება, მორალი კი ყოველგვარ ძალადობას გამორიცხავს. პირველს დასაშვებად მიაჩნია ბოროტების დაძლევა ძალის გამოყენებით, ხოლო მეორე ამგვარ ქმედებას კატეგორიულად კრძალავს.

3) ე.წ. იუზუიტური პრინციპი „მიზანი ამართლებს საშუალებას“ პოლიტიკურად გამართლებულია, ზნეობრივად კი — არა. ომი, მოტყუება, დეზინფორმაცია, ყალბი დაპირება, ხელისუფლებისათვის ბრძოლა, გაუტანლობა და ა. შ. პოლიტიკაში დასაშვებია, ხოლო მორალის მიერ სასტიკად დაგმობილი.

4) პოლიტიკა მოითხოვს დამნაშავის დასჯას, მორალი კი — არა. პირველის მოთხოვნის დამოხატულებაა ძველი რომაული სენტენცია: „თუნდაც, რომ ცოდე ხვალ ქვეყანა დაინგრევა, დამნაშავე მაინც უნდა დაისაჯოს“. მეორის მოთხოვნის გამოხატულებაა მიტევების პრინციპი: დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს. მისი საქციელი უნდა დავგმოთ, მაგრამ ვაპატიოთ. ამ პრინციპს არა აქვს გამონაკლისი, რა გინდ მძიმე არ უნდა იყოს დანაშაული.

პოლიტიკური დანაშაული დგინდება სასამართლოს მიერ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით. მორალური დანაშაულის დადგენა და გაკიცხვა ხდება საზოგადოებრივი აზრის მიერ, ზნეობრივი ღირებულებების და მცნებების საფუძველზე, რასაც შედეგად უნდა მოყვეს არა დამნაშავის დასჯა, არამედ მისი სულიერი განწმენდა. პირველ შემთხვევაში ამოსავალია კანონი, მეორეში კი — მონანიება და ქენჯნა.

5) პოლიტიკა არსის (იმის, რაც არის), ხოლო მორალი ჯერარსის (იმის, რაც უნდა იყოს) გამოხატულებაა. პოლიტიკის უმაღლესი მიზანია სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა. ამისთვის იგი ამოდის კონკრეტულ-რეალური სიტუაციიდან და იყენებს ყველა მის ხელთ არსებულ საშუალებას, მათ შორის, ადამიანსაც. ამიტომ პოლიტიკისათვის ადამიანი საშუალებაა და არა მიზანი. სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს უნდა შეეწიროს ადამიანის სიცოცხლეც კი. მორალი ანგარიშს არ უწევს კონკრეტულ რეალობას. ადამიანმა არც ერთ სიტუაციაში არ უნდა დაარღვიოს ზნეობრივი ნორმა. მან კაცი არ უნდა მოკლას, ტყუილი არ უნდა თქვას და ა. შ. მორალისთვის ადამიანია უმაღლესი მიზანი, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის სახელმწიფოც, მარტოოდენ საშუალება. იგი მკაცრად მოითხოვს თავისი ნორმების დაცვას, თუნდაც, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს ინტერესებს.

6) პოლიტიკა პრაგმატულია, უტილიტარულია, მორალი კი — არა. პოლიტიკის შეფასება ხდება პრაქტიკული მიზანშეწონილების თვალსაზრისით: რამდენად ეფექტურად იცავს იგი სახელმწიფოს ინტერესებს: რამდენად ოპტიმალურად — რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლისა და ენერგიის ფასად უზრუნველყოფს ერის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების გადაჭრას. შესაბამისად უნდა მივუდგეთ პოლიტიკოსის მოღვაწეობის შეფასებას. იგი უნდა შევაფასოთ არა ემოციების (სიყვარულის ან სიძულვილის) მიხედვით, არამედ პრაგმატიკულად (რამდენად უნარიანად წარმართავს სახელმწიფო საქმიანობას). ქვეყნის ხელმძღვანელი კი არ უნდა გვიყვარდეს ან გვძულდეს, არამედ პატივს ვცემდეთ ან არ ვცემდეთ. ამგვარი დამოკიდებულების საფუძველი უნდა იყოს რეალობა: მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში რამდენად გამოადგება იგი ქვეყანას.

მორალი გამორიცხავს შეფასების პრაქტიკული მიზანშეწონილების პრინციპს. იგი რომელიმე ქმედების შეფასებას ახდენს არა ვინმეს (სახელმწიფოს, კლასის და ა.შ.) კერძო ინტერესების, არამედ ზოგადადამიანური, კაცთმოყვარეობის პოზიციიდან. იგი აშართლებს მხოლოდ უანგარო ქცევას. ეს მოქმედება პრაგმატული თვალსაზრისით შეიძლება საზიანოც კი აღმოჩნდეს თვით იმ პიროვნებისთვის, რომელიც მას ახორციელებს. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას გმირების ჯოყოლას და ალუდას ტრაგიკული ბედი. მათმა ქმედებამ ზიანი მიაყენა არა მხოლოდ თემის საერთო ინტერესებს, არამედ თვით მათ პირად ცხოვრებას. მაგრამ ისინი ზნეობრივი ადამიანებია სწორედ იმიტომ, რომ იცავენ არა ვინმეს კერძო (მათ შორის, თავის პირად), არამედ საზოგადოდ ადამიანის, აცობის, „კაი ყმის“ იდეალებსა და ღირებულებებს.

პოლიტიკისა და მორალის განმასხვავებელი ნიშნების ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს. მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ისინი არა თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ შეუთავსებადნი არიან: პოლიტიკა თავისი არსით არ შეიძლება იყოს ზნეობრივი და პირიქით. მათი შეთავსება ისევე შეუძლებელია, როგორც რელიგიის და მეცნიერების შერწყმა. ზნეობრივი პოლიტიკა ისეთივე აბსურდია როგორც მეცნიერული რელიგიის არსებობა.

წარმოდგენილი თეზისი ხომ არ ამართლებს პოლიტიკის მორალურობას? პოლიტიკა თავისი არსით ხომ არ არის უზნეო, ხოლო პოლიტიკოსები უზნეო ადამიანები? ამგვარი დასკვნის გაკეთება უმართებულოა.

აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: საქმე ისაა, რომ პოლიტიკა საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სფეროს გამოხატავს, რომელიც მორალის მიღმაა. მისი შეფასება არ უნდა მოხდეს ზნეობრივი კრიტერიუმებით. იგი არც ზნეობრივია და არც უზნეო. პოლიტიკა არამორალურია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ამორალური.

ბუნებას თავისი მოქმედებით ხშირად უბედურება მოაქვს ადამიანისათვის, წყალდიდობა, მიწისძვრა, გრიგალი და თ. შ. უმოწყალოდ იწირავს მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს. მაგრამ ამის გამო მის ქმედებას ვერ შევაფასებთ როგორც უზნეოს. ბუნება არ არის ამორალური არა იმიტომ, რომ იგი მორალურია, არამედ საერთოდ მორალის მიღმაა. იგი არც მორალურია და არც ამორალური. ანალოგიურია მდგომარეობა პოლიტიკის მიმართაც. იგი ზნეობრივი არ არის, მაგრამ არც უზნეოა, რადგანა მას საერთოდ არ მიუდგება აღნიშნული კატეგორიები.

ავიღოთ ომი, რომელიც პოლიტიკურად დასაშვები და გამართლებული ნორმაა. რომ იგი ზნეობრივი არაა, ეს არ არის სადავო. მაგრამ ხომ არ არის იგი უზნეობა? საქმე ისაა, რომ ომი მორალის მიღმური სფეროა, ამიტომ მას აღნიშნული კატეგორიები არ მიეწერება. იგი არც ზნეობრივია, და არც უზნეო, რადგან საერთოდ არ მიეკუთვნება მორალის სფეროს. ომი პოლიტიკური რეალობაა, რომელიც მორალის საზღვრებს გარეთაა.

პოლიტიკა სამართლის სფეროა. იგი გამოხატავს ისეთ ურთიერთობებს, რომელთა რეგულირება ხდება სამართლებრივი ნორმებით და აქციებით, მაგრამ არა მორალური მცნებებით და ღირებულებებით. ამიტომ პოლიტიკა შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ზნეობრივი ან უზნეო. შევნიშნავთ, რომ „სამართლიანი“ და „ზნეობრივი“, ასევე „უსამართლო“ და „უზნეო“ ერთმანეთს არ ემთხვევა. „სამართლიანია ის, რაც სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება და რისი დაცვაც მათგან გამომდინარე აუცილებელია. ზნეობრივია ის, რაც საზოგადოდ კაცთმოყვარეობას, პიროვნების ღირსებას შეესაბამება და რასაც ადამიანი თავისუფალი ნების საფუძველზე საუთარი სინდისის კარნახით განახორციელებს.

ისევ მოვიშველიოთ ანალოგია რელიგიისა და მეცნიერების მიმართების შესახებ. რელიგია არც მეცნიერული, მაგრამ არც ანტიმეცნიერულია. იგი საერთოდ არაძეცნიერულია, რადგან მეცნიერების მიღმაა. იგი ტრანსცენდენტურ რეალობას გამოხატავს, რომლის წვდომის პრეტენზიაც მეცნიერებას არა აქვს. რელიგიის შინაარსის შეფასება მეცნიერების პოზიციიდან ყოვლად დაუშვებელია, რადგან ეს აქტი განსხვავებულ სფეროთა აღრევას ემყარება: მეცნიერება ბუნებრივი რეალობის შესახებ ცოდნას იძლევა, და მისი საფუძველია ლოგიკური, ცდისეული ანისტორიული დასაბუთება. რელიგია ზნეობრივი სამყაროს შესახებ რწმენას იძლევა და მისი საფუძველია გამოცხადება. ცოდნა და რწმენა ურთიერთგანსხვავებული მოვლენებია, რომელთაც თავისი გამოყენების საზღვრები და შეფასების კრიტერიუმები აქვთ. ის, რაც ცოდნისთვის მიღებული და უაზრობაა, რწმენისთვის დასაშვები და აზრიანია. „მრწამს, რადგან აბსურდია“ — ამბობდა ტერტულიანე.

ის, რაც პოლიტიკისთვის ბუნებრივი და ნორმალურია, დასაშვები და მისაღებია, ზნეობისათვის ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. პოლიტიკურად გამართლებული ზნეობრივად გაუმართლებელია და პირიქით.

ახლა ნათელია იმ მოსაზრების უსაფუძვლობა, რომ „პოლიტიკაში მორალი თვით პოლიტიკაზე მეტად ფასობს“. თუ ეს ასეა, მაშინ პოლიტიკა რაღა საჭიროა? თუ პოლიტიკაში პრიორიტეტი მორალს ეკუთვნის, მაშინ საერთოდ უარი ვთქვათ მასზე და შევცვალოთ იგი მორალით. მაგრამ ეს შეუძლებელია მანამ, სანამ არსებობს სახელმწიფო. ამ უკანასკნელს ფუნქციობა შეუძლია მხოლოდ სამართლის და არა მორალის საფუძველზე. თუ სახელმწიფო მოისპობა, რაც ძნელი წარმოსადგენია, მაშინ პოლიტიკაც და სამართალიც მოისპობა. ამგვარ საზოგადოებაში პრიორიტეტი შეიძლება მორალმა მოიპოვოს, მაგრამ ეს იქნება საზოგადოება სახელმწიფოსა და პოლიტიკის გარეშე. შეუძლებელია, რომ თვით პოლიტიკის სფეროში მასზე მეტად ფასობს ის, რასაც მასთან კავშირი არ აქვს. პოლიტიკა მორალს არ ემყარება, ამიტომ იგი არ შეიძლება მისთვის ფასეული იყოს. ამის დაშვება ისეთივე უაზრობაა როგორც ის, რომ ვინმემ თქვას: „რელიგიაში მეცნიერება, თვით რელიგიაზე მეტად ფასობს“. რელიგია მეცნიერებას არ ემყარება, ამიტომ იგი მისთვის უფრო მეტად ფასეული ვერ იქნება.

შევეხოთ პოლიტიკოსების მოღვაწეობის შეფასების საკითხს ზნეობრივი თვალსაზრისით. გამართლებულია თუ არა პოლიტიკოსების შეფასება მორალურობა-ამორალურობის პოზიციიდან? არავითარ შემთხვევაში. თუ ამ კუთხით შევაფასებდით მათ, მაშინ ყველა მათგანი უნდა გამოგვეცხადებინა ამორალურად (უზნეოდ). არ მოიძებნება არც ერთი პოლიტიკოსი, რომელსაც არ დაერღვიოს ზნეობრივი ნორმები. ავიღოთ პოლიტიკოსისთვის ყველაზე მეტად უმტკივნეულო რამ — სიმართლის თქმა. „პოლიტიკოსი ვალდებულია არა თუ არა ყველა სიტუაციაში თქვას სიმართლე, ე.ი. თქვას ის, რასაც ნამდვილად ფიქრობს? — ამის თაობაზე სავსებით სამართლიანად შენიშნავს თანამედროვე გერმანელი სოციოლოგი ნ. ლუმანი: ამგვარი მორალური რიტორიზმის პოზიცია მიგვიყვანდა პოლიტიკის თვითლიკვიდაციამდე. „მაშინ ჩვენ გვეყოლებოდა ეთიკურად მაღალხარისხოვანი პოლიტიკოსები, მაგრამ პოლიტიკის გარეშე“.

მაშასადამე, ნ. ლუმანის თანახმად, მოთხოვო პოლიტიკოსს ზნეობრივი ნორმების დაცვა ნიშნავს გაუქმო პოლიტიკა როგორც ასეთი. მაშ, პოლიტიკოსები უზნეონი არიან? — ითხავს აღშფოთებით მავანი. არამც და არამც. საქმე ისაა, რომ მათი შეფასება არ უნდა მოხდეს ზნეობრივი კატეგორიებით. პოლიტიკოსი როგორც გარკვეული დარგის მოღვაწენი არც ზნეობრივია და არც უზნეო. მათი მოღვაწეობა ექვემდებარება სამართლებრივ ნორმებს, ამიტომ შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო. პოლიტიკოსი, რომელიც სამართლებრივი ნორმების დაცვით ცდილობს განახორციელოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები და მიზნები, სამართლიანია, მაგრამ არაზნეობრივი. პოლიტიკოსი, რომელიც არღვევს სამართლებრივ ნორმებს და უფრო მეტად ზრუნავს თავის პირად, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესებზე, უსამართლოა და არა უზნეო.

პოლიტიკოსს მოეთხოვება , რომ იყოს პატიოსანი. ეს ნიშნავს, რომ მან კეთილსინდისიერად დაიცვას კონსტიტუცია, მოქმედი კანონმდებლობა და პასუხისმგებლობით შეასრულოს თავისი მოვალეობა. ანალოგია შეიძლება გავატაროთ სპორტსმენთან. უკანასკნელს არ მოეთხოვება იყოს ზნეობრივი. ერთადერთი, რაც მას ეკითხება არის ის, რომ შეჯიბრების დროს პატიოსნად დაიცვას დადგენილი წესები და შეგნებულად არ მიმართოს აკრძალულ ილეთებს.

რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი პიროვნებაა. იგი როგორც პიროვნება უკვე ზნეობის სუბიექტია და ამიტომ მისი შეფასება შესაძლებელია მორალური კატეგორიებით. მაგრამ ეს უკვე ხდება პოლიტიკურ ურთიერთობათა მიღმა. ეს ის სფეროა, სადაც მას შეუძლია თავისუფლად გამოავლინოს თავისი ნება და იმოქმედოს სინდისის კარნახით. აქ იგი აღარ არის შებოჭილი სახელმწიფოს ინტერესებით და მიზნებით. ეს არის ადამიანთა ურთიერთობის სულიერი სფერო, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა მატერიალური ინტერესებისაგან, სადაც გამორიცხულია ყოველგვარი ანგარება. ზნეობრივი სამყარო თავისუფლების და არა იძულების სამეფოა. მხოლოდ ამ სამეფოს მკვიდრს მოეთხოვება ზნეობრივი ნორმების დაცვა.

სანიმუშოდ ავიღოთ დავით აღმაშენებელი. მისი ზნეობრივი ხასიათი ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მარგამ როგორ იქცეოდა იგი როგორც პოლიტიკოსი? იყო დაუნდობელი შინაური თუ გარეშე მტრის მიმართ. თავის პოლიტიკურ საქმიანობაში იგი იძულებული იყო დაერღვია ქრისტიანული მორალის მცნებები, რასაც თვითონ აღიარებს თავის უკვდავ ქმნილებაში „გალობანი სინანულისანი“. „მზეცთაგან მზეცის ვემსგავსე“ და „მბრძოლ ვექმენ ყოველთა სჯულისა შენისთჳს“ — შენ ჩვენს ჩვენ უფალს. ამრიგად, [illegible] უნდა მიგვეჩნია დიდებული ბუტა უბნელო, ამორალურ პიროვნებად? არავითარ შემთხვევაში, რადგან ეს მისი პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროა, სადაც იგი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იძულებული იყო ისეთი რამ მოემოქმედა, რაც მის ზნეობრივ მრწამსს ეწინააღმდეგება. მაგრამ პირაც ცხოვრებაში იგი როგორც ჩვეულებრივი პიროვნება (ე.ი. როგორც არაპოლიტიკოსი) უაღრესად ზნეობრივი და სათნო ადამიანია.

ამგვარად, სხვადასხვა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს დავით აღმაშენებელი როგორც პოლიტიკოსი და როგორც ჩვეულებრივი პიროვნება. პირველი სამართლიანია, მაგრამ არა ზნეობრივი, ხოლო მეორე — ზნეობრივად უზადოა, მაგრამ ზოგჯერ უსამართლოა.

• რას მივიღებდით შედეგად, რომ სახელმწიფო მოღვაწეობაში დავით აღმაშენებელს მკაცრად დაეცვა ქრისტიანული მორალის მცნებები? იგი, როგორც პოლიტიკოსი საერთოდ არ იარსებებდა. ეს იქნებოდა მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, სიკვდილის ტოლფასი.

დასკვნა უდავოა: პოლიტიკა და ზნეობა პრინციპულად შეუთავსებელია, ამიტომ პოლიტიკაში შეუძლებელია თვით პოლიტიკაზე მეტად მორალი ფასობდეს. პოლიტიკაში პოლიტიკა, მორალში — მორალურობა, მეცნიერებაში — მეცნიერება უნდა ფასობდეს ყველაზე მეტად და არა სხვა რამ.

დაისახო მიზნად, პოლიტიკაში თვით მასზე მაღლა მორალი დააყენო, შეიძლება კეთილშობილური განზრახვა იყოს, მაგრამ რა ფასი აქვს მას, თუ იგი შეუძლებელი და განუხორციელებელია? ამგვარი ოცნება მართლაც უტოპიაა. ლ. ალფენიძეს არასწორად ესმის ტერმინ „უტოპიის“ მნიშვნელობა. მისი აზრით უტოპია ისეთი ოცნებაა, რომელიც მომავალში რეალობად იქცევა. „ამერიკული ოცნებაც“ უტოპია იყო, მერე იქცა რეალობადო, — შენიშნავს იგი. თუ „ამერიკული ოცნება“ ოდესღაც რეალობად იქცა, ეს ნიშნავს, რომ იგი უტოპია არ ყოფილა. შეიძლება ვიფიქროთ, იგი უტოპიად ჩაეთვლებოდათ, რაც მეტყველებს არა მის უტოპიურობაზე, არამედ მავანთა შეზღუდულების მცდარობაზე, რომელთაც იგი უტოპიად მიჩნდათ. „ამერიკული ოცნება“ რომ უტოპია ყოფილიყო, იგი არასოდეს იქცეოდა რეალობად, რადგან უტოპია სწორედ იმგვარი ოცნებაა, რომელიც პრინციპულად განუხორციელებელია. განხორციელებადი უტოპიის დაშვება ისეთივე უაზრობაა, როგორც ოცნება იმაზე, რომ ოდესღაც აიგება მუდმივი ძრავა, ან კვადრატი გახდება მრგვალი.

როგორც ვხედავთ, ლ. ალფენიძეს უტოპია, ე.ი. განუხორციელებელის განხორციელების სურვილი გაუხდია ცხოვრების აზრად. ყოველი ადამიანის უფლებაა თუ რას გაიხდის თავის კრედოდ. და ამის წინააღმდეგ არავის არ შეუძლია რაიმე თქვას, რომ არა ერთი გარემოება, — რამდენად გამართლებულია ამგვარი ილუზიებით იკვებებოდეს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი? თუ მისი რჩევები სახელმწიფო პოლიტიკას არ ეხება, მაშინ კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ სახელმწიფო პოლიტიკას ეხება, მაშინ ცუდად ყოფილა საქმე. კორესპონდენტის კითხვაზე — მაინც რა არის პოლიტიკა? — ლ. ალფენიძე პასუხობს: „შესაძლებელის მეცნიერება და ხელოვნება. ვინც პოლიტიკაში შეუძლებელს შეეჭიდება, ის ან დილეტანტია, ან ავანტურისტი, ან დემაგოგი, ან სამივე ერთად.“ როგორც ვნახეთ, ლ. ალფენიძე შეუძლებელს შეეჭიდა, რადგან უტოპიის, ე.ი. განუხორციელებელის განხორციელება დაისახა მიზნად. ამიტომ თვით მან აირჩიოს, თუ რომელი ეპითეტი მიესადაგება მის ცხოვრებისეულ მრწამსს.

ჩვენთვის გაუგებარია ლ. ალფენიძის მიერ წამოყენებული თეზისი უცოდინარობის შედეგია თუ პოპულიზმს ისახავს მიზნად თუმცა ერთი რამ ნათელია: არც ერთი და არც მეორე არ შეეფერება მთავარ სახელმწიფო მრჩეველს. მას მოეთხოვება რეალობის ღრმა ცოდნა და კრიტიკული ანალიზის უნარი, მაგრამ არა უტოპიების თხზვა ან ფილოსოფოსთა სახელებით და მათი კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ფრაზებით კეკლუცობა.

„...თანამემამულეთა მიმართ თანაბარი პატივისცემა და სიყვარული, ნდობა და გულახდილობა ერთადერთი დედაბოძია სამშობლოს ბედნიერებისათვის, და ამ სამშობლოს სახელით შეერთებულნი სხვადასხვა კუთხის და სარწმუნოების შვილები ჩვენს ეროვნულ სალაროს მართალს სიმდიდრეს შეჰმატებენ. და დღე, გამოვიყენოთ ეს ერთობა ჩვენდა სანუგეშოდ“.

მემედ აბაშიძე



მემედ აბაშიძე — პუბლიცისტი

(დაბადებიდან 120 წლის გამო)

1918—21 დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობით სარგებლობდნენ უცხო ძალები და ყოველნაირად ცდილობდნენ ერთხელ და საბოლოოდ მიეტაცებინათ მისი ძირძველი მხარე — აჭარა. ის, რომ აჭარა საბოლოოდ დედასამშობლოს არ მოსწყდა, ამაში სხვებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით აჭარის მკვიდრთ, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი უკავია ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტს — მემედ აბაშიძეს. ამაზე ნათლად მეტყველებს მისი როგორც საზოგადოებრივი, ისე პუბლიცისტური მოღვაწეობა. მემედ აბაშიძის მოღვაწეობას მთლიანობაში საფუძვლად ედო ერთიანი საქართველოს იდეისათვის თავდაუზოგავი ბრძოლა. ამ გზაზე ის, თურქეთისა და რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის ერთობ მკაცრი შემფასებელი იყო. შემედ აბაშიძე მკაცრი მსაჯული გახლდათ აგრეთვე ცალკეულ შემთხვევაში აჭარის მკვიდრთა ერთი მცირე ნაწილის გაუმართლებელი ქმედებისა.

ეროვნული საკითხებისადმი მიძღვნილი მემედ აბაშიძის პუბლიკაციები გამოირჩევიან პრობლემათა სიღრმეებში წვდომითა და მოვლენების საღი შეფასებით. ამ პუბლიკაციებში გატარებულ აზრებს დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და კვლავაც გაგვიწევენ გარკვეულ სამსახურს. მითუმეტეს, რომ ისტორია, აქცენტების მცირეოდენი გადაადგილებითა და შეცვლით, თითქმის იმავე სიზუსტით მეორდება, როგორც ეს იყო დაახლოებით 70 წლის წინათ...

მემედ აბაშიძე ეროვნული მოძრაობის ნამდვილი რაინდი იყო, არავის ანატიებდა ქართველი ხალხის შეურაცხყოფას. მან ბათუმის ცნობილ „რკინიგზის თეატრში“ თავხედობა არ ეპატია გენერალ სლოვოჩინსკის და ისეთი სილა გააწნა, რომ გენერალი იატაკზე გაიშხლართა. **1918** წელს კი, როცა თურქები შეიჭრნენ ბათუმში აჭარის ოკუპაციის მიზნით, მემედ აბაშიძე მათ „მიესალმა“ როგორც სტუმრებს — იმედი გამოთქვა, რომ ისინი მალე დასტოვებდნენ იქაურობას. ამის გამო თურქებმა მემედ აბაშიძე ტრაპიზონის ციხეში გამოამწყვდიეს და გარდაუვალ სასიკვდილო განაჩენს მხოლოდ გაქცევით დააღწია თავი.

მიმდინარე — **1993** წელს სრულდება მემედ აბაშიძის დაბადებიდან **120** წელი. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბევრი დაიწერება. ჩვენ ამ თარიღის აღნიშვნის სხვა გზა ავირჩიეთ, რადგანაც სამშობლოს წინაშე მემედ აბაშიძის დამსახურებაზე მის საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ჩვენზე უკეთ მოგვითხრობენ ეროვნული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მისი იმუამინდელი მწვავე და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გაჟღენთილი პუბლიცისტური ნაწერები. სწორედ ამ მიზნით კიდევ ერთხელ მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას მემედ აბაშიძის ამგვარ პუბლიცისტურ ნაწერებზე, რომელთაც ვაქვეყნებთ კუპირებით, ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

პუბლიკაციისას ვსარგებლობდით: **მემედ აბაშიძე. რჩეული ნაწერები. მეორე შევსებული გამოცემა პროფესორ იური სიხარულიძის რედაქციითა და შენიშვნებით. ბათუმი, 1973.**

წერილებში მემედ აბაშიძე აღწერს მძიმე პოლიტიკურ სიტუაციებს აჭარაში, მკვეთრად იბრძვის უცხო ქვეყნების ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ და დამაჯერებლად აჩვენებს ქართველი ხალხის თავგანწირვას თავიანთი სისხლხორცეული ძმების — აჭარის მკვიდრთა მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

„...**სამუსლიმანო** საქართველო ორი ძალის ბრძოლის ასპარეზს შეადგენდა და საჭირო იყო უმთავრეს საბედისწერო მომენტში ორ ფრონტზე ბრძოლის წარმოება: პირველი — ოსმალეთის ბნელი ზრახვებისა და მეორე — რუსეთის იმპერიალისტური დაპყრობა-მონობის წინააღმდეგ, საქართველოს გაერთიანებისათვის“ (ავტობიოგრაფიიდან).

„**მეტად** საბედისწერო ჟამი დაგვიდგა. ჩვენი ქვეყნის ორგულნი, ჩვენი განადგურების მომხრენი ჩვენს ოლქს უფსკრულისაკენ ეზიდებიან და ლამობენ უბედურების მორევში გადაგვჩეხონ.

შემოგვესივნენ დენიკინელები, ფაშების აგენტები და არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ ხალხში არეულ-დარეული შეიტანონ, ცხოვრება აგვიფორიაქონ...

ასე შემოგვესივნენ 1914 წლის მიწურულშიც. შემოგვესივნენ და იწყეს დამლუპველი მაგალითი, იწყეს ხალხის დატყუილება, რომ ოსმალეთი თითქოს ბათუმის ოლქში გზავნის მთელ კორპუსებს. ოღონდ თქვენ აიღეთ ზარაღი., ოღონდ აყვეთ ჩვენს ხმას და მაშინვე ჩვენი კორპუსები აქ გაჩნდებიან. ბევრი აიყოლიეს, ზოგი ძალდატანებით, ზოგი დატყუილებით. და თუ რა უბედურება მოგვაყარეს ამით, ეს ყოველმა ჩვენგანმა იცის („სიფრთხილე, სიფრთხილე! 1920 წელი).

„**ბოლოსაც** კარგად უნდა იცოდეს, რომ ოსმალეთს ბათუმის ოლქს არავინ მისცემს. დიახ, ეს იმდენად ცხადია, რომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი უნდა იყოს, მარა ფაშების აგენტები მაინც თავისას გაიძახიან. მაინც ატყუებენ ხალხს, მაინც უნდათ, რომ ჩვენი ქვეყანა განადგურდეს, ხალხი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდეს, აწიოკდეს, რად სჭირიათ ჩვენს თავზე ასეთი უბედურების დატეხა ფაშის აგენტებს?...

...მათ ჩვენი ოლქი აინტერესებთ მხოლოდ იმისათვის, რომ გამოგვიყენონ თავისი კერძო მიზნებისათვის... როცა შეისრულებენ მიზანს, როცა ჩვენი სისხლით თავის საქმეს გააკეთებენ, მერე მოჰკურცხლავენ აქედან და ჩვენს ამბავსაც კი არ იკითხავენ...

დენიკინელებიც მოგვდგნენ და ისინიც გვეჩიჩინებიან: საქართველოს შეეწინააღმდეგეთო.

ამათ რაღა უნდათ?

აი რა.

განა ჩვენთვის ცხადი არაა, რომ დენიკინელები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ და ხმარობენ, რომ ბათუმი და მისი ოლქი რუსებს დააპყრობინონ? დენიკინელთა მთელი ყურადღება იქითკენაა მიპყრობილი, რომ ჩვენი ქვეყანა მათ დაიპყრან, რომ ჩვენზე კელავ იბატონონ...

...მათ კარგად იციან, რომ თუ საქართველოსთან გაერთიანდებით ავტონომიურად, ეს დიდ ძალებს შეგვმატებს და მაშინ ვერ დაგვიპყრობენ. მათ სურთ რომ ჩვენ სუსტები ვიყოთ, რათა სუსტზე გაბატონება ადვილად შესძლონ“ („სიფრთხილე, სიფრთხილე“).

„**რუსებსაც** განუზრახავთ ჩვენი მოტყუილება. ის რუსის ჩინოვნიკები, ის დენიკინელები, ის გუბსეკები, რომლებიც მათრახებით დაგვდევდნენ, რომლებმაც გვაწამეს და გვტანჯეს, ახლა მობრძანებულან ჩვენთან და ძმობას გვეფიცებიან! ამ დრომდე დაპყრობით, დენიკინით გვემუქრებოდენ: მოვა დენიკინი და გაყურებინებთ სეირსო, ახლა კი გვეუბნებიან: იარაღი აიღეთ, დაგეხმარებით, ქართველები არ ჩაუშვათო.

...მათ სურთ ჩვენ არ შეგვუერთდეთ საქართველოს, და ეს სურთ იმიტომ, რომ არ უნდათ ჩვენთვის თავისუფლება, არ უნდათ ჩვენი გაძლიერება. მათ უნდათ ჩვენ მარტონი ვიყოთ, სუსტნი, რომ შემდეგ, როცა დროს იხელთებენ, მოგვდგენენ და თოფის კონდახებით და ხიშტებით დაგვიმონონ, რაც შემდეგ ჩვენს ძმებთან — ქართველ ქრისტიანობასთან ვერ შეგვარიგებს. მათ სურთ, ომ ორ ძმას შუა მუდამ დუშმანობა იყოს დათესილი. აი რა უნდათ მათ. და ამიტომაა, რომ გველაქუცებიან ვითომდა დიდი მეგობრები არიან ჩვენი. ნუთუ ამ დრომდე ვერ ვიცანით ისინი?!“ („მუსლიმან ქართველებს“, 1920 წელი).

„**ჩვენი** დედა სამშობლო საქართველო ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საუსლიმანო საქართველოს. დედობრივი მზრუნველობით ის ყოველთვის სიყვარულის სხივებს გადაფრქვევდა, ნეტარებდა ჩვენი სიხარულით და უბედურად თვლიდა თავის თავს ჩვენი უბედურებით... ჩვენი ძველი მტერი — რუსეთის თვითმპყრობელობა — კარგად ხედავდა, საქართველო ჩვენს გათვითცნობიერებას, ჩვენს ბედნიერებას ცდილობდა; და ამიტომ იყო, საქართველოსთან ერთობას ყოველთვის გვიშლიდა; არ გვაკარებდა ახლოს ძმებს, გვიკრძალავდა მშობლიურ ენაზე შვილების აღზრდას...

... ბევრჯერ დაუმტკიცებია ჩვენს დედა-სამშობლოს საქართველოს ჩვენთვის თავგანწირვა, როცა რუსეთმა თავისი მხედრობა მოგვაყენა გასაელვეტად, როცა ბევრი ჩვენთაგანი აიყარა და უცხოეთში გადაიხვწა, როცა მოლალატის სახელი გვიწოდეს და სასჯელზე გვაგზავნიდნენ. როცა ჩვენი სახლკარი ცეცხლს მისცეს და ბოლოს ჩვენი მიწა-წყლიდან ჩვენი აყრა და გადასახლება მოინდომეს, რათა ჩვენს სამოსახლოზე უცხოელები დაესახლებინათ, — „ქართველო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და გაბედულად განაცხადა: თუ ეს გაგიბედნიათ, თუ თუ ჩვენი ძმები — ქართველი მუსლიმანები — აგიყრიათ, ჩვენ ავანყდებით და შესაფერის პასუხს გაგცემთო. ყველამ იცის, თუ როგორი მტარვალი იყო რუსეთის თვითმპყრობელობა, ყველამ იცის, თუ რა მოელოდა საქართველოს მაშინ ავანყებისათვის, მარა საქართველო ამას არ შეუშინდა, ის მზად იყო თავი გაეწირა ჩვენთვის. ნათქვამია: ძმა ძმისთვისა, შავი დღისთვისაო, — და საქართველომ დაგვიმტკიცა ეს. ვის არ ახსოვს, თუ როგორ გვევლებოდნენ თავზე მაშინ ჩვენი ძმები, ქართველი ვეჟილები. გაბედული სიტყვისათვის, სამართლის თქმისათვის ჩვენი დამცველი ქართველი ვეჟილები მაშინ თვითმპყრობელობის უსამართლო სასამართლომ პასუხისგებაშიაც კი მისცა. ვინ იცის, რომ ჩვენ, გაწამებულებს, სახლკარაოხრებულებს, მაშინ შიმშილი კარზე მოგვადგა. საქართველოში, მოუსალმობის გამო, მაშინ შიმშილობა იყო. მარა საქართველომ თვით მიიკლო ლუკმა და ჩვენ მოგვაწვდინა სურსათსანოვაგე, ფეხსაცმელ-ტანსაცმელი. ყოველი ქართველი დიდი ხალისით მზად იყო დაგვხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. ყველა ამბობდა: ქართველ მუსლიმან ძმებს უჭირთ, არაფერი დავიშუროთ მათთვისო, და მათლაც რომ არაფერს იშურებდნენ. დიდი, პატარა, ქალი, კაცი — ყველა მზად იყო დახმარების ხელი გამოეწოდათ ჩვენთვის. ქალიშვილები, სხვა რომ არა გააჩნდათ რა, ნაწნავებს იკრეჭდნენ და ყიდდნენ ჩვენდა დასახმარებლად. — მეტი არა გაპაჩნია რა, თმა მაქვს გრძელი, გავყიდი ამას და ჩვენს ძმებს, ქართველ მუსლიმანებს დავეხმარებიო, — ამბობდნენ ქალიშვილები.

ერთი სიტყვით, მთელი საქართველო ფეხზე აღდგა ჩვენს დასახმარებლად, გაჭირვებისაგან მოსაყვანად და ეს იყო განა მხოლოდ მაშინ? ყოველთვის საქართველო ყელამდე სავსე იყო ჩვენი სიყვარულით.

...ზოგიერთმა ეს სიყვარული ისე ახსნა, თითქო უჩვენოდ საქართველო აღიგვება დედამიწის პირისაგან. ზოგიერთმა ჩვენგანმა ვერ დააფასა ეს სიყვარული.

ვერ შეიგნეს, რომ უჩვენოდ საქართველოს ცაზე მზეც ამოვა და მთვარეც. ვერ შეიგნეს, რომ უჩვენოდ საქართველოს შეუძლია სიცოცხლე.

და განა ვინმეს გაუკვირდება, რომ დღეს ჩვენზე საქართველოს გული აუცრუვდეს! განა გასაკვირი იქნება, საქართველომ რომ გვითხრას: მუსლიმანო ძმებო! ყოველი ღონე ვიღონე, რომ თქვენ ბედნიერება, თავისუფლება მოგნიჭებოდათ; ყოველნაირად ვეცადე, რომ თქვენ უცხოელების მონობაში არ ჩავარდნილიყავით, მარა არ იქნ და არა, ვერ შეიგნეთ ეს. ე სამწუხაროა, სატირალია, მარა რ გაეწყობა... რაკი არ გსურთ ბედნიერება, რაკი არ გსურთ თავისუფლება, რაკი უცხოელების თქვენზე ბატონობა გწადიან, რაკი თქვენ მტერს უჯერით და მოძმეებს თოფებით ხვდებით, — მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ძალით მაცხონობა არ შეიძლება რაკი გწადიათ უცხოთა უღელი, დაიდგით ეს უღელი... რაკი გწადიათ გადამთიელთა მონობა, იყავით მონები.

და განა ღირსი არა ვართ, ეს რომ გვითხრას საქართველომ? ...

და როცა საქართველოში ასეთი ჩვენდამი დამოკიდებულების ფსიქოლოგია წამოყოფს თავს, როცა ჩვენზე გაგულისებული ჩვენი ძმები გეტყვიან ამას, — მაშინ დაკრავს სამუსლიმანო საქართველოს აღსარულის დღე და აი, ამ დღეს ამზადებენ ჩვენი ქვეყნის გამყიდველები, ავანტიურისტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დასაკლავად ლესავენ დანას და ამით უცხოელებს გზას უხსნიან ჩვენი ქვეყნის დასაპატრონებლად“ („მაშინ დაკრავს აღსარულის ჟამი“, 1920 წელი).

...ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გარდა საქართველოსი, ჩვენი ხსნა არ არის. მოიგონეთ, რომ როცა ჩვენ ვჰრწოდით ცეცხლისა და მახვილის ქვეშ, ჩვენი მშველელნი იყვნენ მხოლოდ ჩვენი ძმები — ქართველი ქრისტიანები. დაუკვირდით ყველაფერს კარგად და თქვენი გადაწყვეტილება მომავალი ჩვენი ცხოვრების შესახებ ისე გამოიტანეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელნი ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე“ (მუსლიმან ქართველთა პირველ ყრილობაზე თქმული სიტყვიდან, 1919 წელი).

ამ წერილებიდან კარგად ჩანს, თუ რა მძიმე განსაცდელში ყოფილა მაშინ აჭარა. შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ აჭარამ ამ მძიმე გამოცდას გაუძლო, რაშიც თავისი გამორჩეული წვლილი მიუძღვის მემედ აბაშიძეს.

მიხეილ მახარაძე

შავი შაშვი ჩიოდა

(დასასრული)

— მერე რატომ არ უშვებდნენ?

— არ ვიცი ალბათ. მალე გაანთავისუფლებენ — ვუთხარი.

მამის დაკაბიჯების შემდეგ ჩვენს ბაღს ათასი მტერი გამოუჩნდა. ყველას მითვისება უნდოდა. ერთხელ ოჯახის მეგობარმა ერმილე ნაჭყებიამ შეგვატყობინა — თქვენს ბაღში ჩეკისტებს დამხმარე მეურნეობის მოწყობა უნდათ. სკობია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩააბაროთო. მიუხედავად ამისა რომ ქალაქში შუქშენიღბვა იყო ეს ამბავი იმ ღამესვე სამინისტროს ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს გავაგებინე. ჩეკისტებმა როგორც ჩანს მაშინ გადაიფიქრეს თუმცა მომდევნო წლებში კვლავ მოიტანეს იერიში. ერთხელ, მგონი 36 წელი იყო ეს ბაღი ბერიამ გადაარჩინა. დიდი წყალსაჩი უნდა დაედგათ.

1962 წელს გიორგი გეგეშიძეს ვთხოვე — რადგან აღარ მეშვებიან ეს სახლი დაანგრიეთ, ზემოთ სხვა ამიშენეთ დ აქ პარკი მოაწყეთ მეთქი. სახლი მართლაც ამიშენეს, მაგრამ ამჯერად რაიკომი წავიდა წინააღმდეგი — ყველაფერი განადგურდებაო. რაიკომის გადაწყვეტილებამდე საქალაქო საბჭოს კომისია მეწვია მითხრეს-ფიზკულტურელის ქუჩაზე სახლს მოგცემთ და იქ გადადი საცხოვრებლადო. ვიცოდი თვითონ უნდოდათ სახლის აშენება. ხეზე ჩამოკიდებული ცენტრალკა ჩამოვიღე. შიგ ფუჭი ვაზნები იდო, დავუბერე და ჩახმახს გამოკრეს. არ მეგონა თუ ადამიანს ამდენი შეეძლო, ეს ჩასალსტუხებულ — ჩაპიჯაკებული ხალხი ისე გადაეკლნენ ამხელა ლობეს დღესაც მიკვირს რა ძალა ჩაუდგათ მუხლებში.

1978 წელს რესტორნის აშენებ გვერდით სამაგვარო სახლი ააშენეს ახლა მათ მოითხოვეს, შემდეგ მეტროშენებლებს მოეწონათ ბინის ჩასადგმელად თუმცა ამ მხრივ რეკორდი მაინც ქალაქის საბჭოს ეკუთვნოდა.

არ მინდა ისე გამიგოთ თითქოს ეს ბაღი ჩემი პირადი სიკეთისა და სარგებლობისთვის მინდა. მოდით ერთი წუთით დავუკვირდეთ, საერთაშორისო ნორმებით, მწვანე საფარის ნორმა, ერთ სულ მოსახლეზე 25 კვადრატული მეტრია. თბილისში კი, სულ რაღაც 6,9 მეტრია. ამას თუ ლოჯომანიის შედეგად განადგურებულ ასეულობით ნარგავს დავუმატებთ, ეს ციფრი, ცხადია, კიდევ უფრო შემცირდება.

კიდევ კარგი მაშინდელ მთავრობაშიც არ იყო ყველა ერთ თარგზე გამოჭრილი და სწორად ესმოდათ ამ ბაღის აუცილებლობა.

ზემოთ სამაგვარო ბაღი ვახსენე. მის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე, კარგა ხნის ამბავს გიყვებით, ბატონი ედუარდ შევარდნაძეც დაესწრო. ზეიმის დამთავრების შემდეგ ბატონი ედუარდი და მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მისმა სტუმრობამ ჩვენი ბაღი განეხვისაგან გადაარჩინა.

— ქალბატონო ლეილა, ამხელა ბაღის მოვლა არ გიჭირთ, გარდა ამისა თქვენ ხომ პროფესიით ფილოლოგი ბრძანდებით?

— ბაღი რამდენიმე წლის წინ საბურთალოს გამწვანების საექსპლუატაციო სამსახურს დაუქვემდებარეს. და ორი მუშა მოამაგრეს. რაც შემეხება მე, ძირითადი პროფესიის გარდა, დავამთავრე სახალხო უნივერსიტეტის დეკორაციამეცეკავილეობის კურსები...

სიმართლე გითხრათ ძალიან მადარდებს ამ ბაღის ბედი. მე დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები. არ მინდა გაპარტახდეს. ამას წინათ ვიღაც კაცი მოვიდა. ბაღის შესყიდვა მოინდომა. თან ამბისა კოოპერატივიდან ვარ და ეს საქმე „ზეკით" უკვე გადწყვეტილიაო. შეიძლება ცრუობდა. არ მჯერა რომ ჩვენი მთავრობა ხელს შეუწყობს ბაღის განადგურებას. ამ ბაღს ხომ საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ვინ არ ყოფილა აქ. ვერ დასახელებთ საქართველოს ერთ გამოჩენილ ადამიანსაც კი ამ ბაღში არ დასვენოს, ხელი არ ეგემოს. ეს შალვა ნუცუბიძე, ნიკო ბერ... ნიშვილი, მოსე გოგიბერიძე, რომ... ერთი ჩამოთვალეო. ერთ-ერ ბატონ... შალვამ სანაზენე... ... ...